ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალგაზრდა ივერიელი

გამოდის 1921 წლიდან

16 მაისი ხუთშაბათი 1991 № 56 (11689)

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 10 კაპ.

# საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესია

14 მაისს გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი სხდომა. მას თავმჯდომარეობდა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, მთავრობის წევრები, აგრეთვე რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების პრეფექტები.

დღის წესრიგში პირველი იყო საკითხი ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოების წევრთა გაწვევის წესის შესახებ, რომლის კანონის პროექტი პრესაში გამოქვეყნების შემდეგ საყოველთაო განხილვის დროს მიღებული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით წარმოადგინა უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის მუდმივი კომისიის წევრმა თენგიზ ჩაჩავამ. ეს კანონი ერთსულოვნად მიიღო უზენაესმა საბჭომ.

ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოების სტრუქტურის კომპეტენციისა და მუშაობის ორგანიზაციის ზოგადი საწყისების შესახებ კანონპროექტი წარმოადგინა უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის მუდმივი კომისიის მდივანმა გიორგი გულბანმა, ეს კანონიც მიიღეს.

შემდეგ სიტყვა მიეცა უზენაესი საბჭოს საგარეო ურთიერთობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარეს თედო პაატაშვილს, რომელმაც დეპუტატებს განსახილველად წარუდგინა საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებათა დადების, რატიფიკაციის, შესრულებისა და დენონსაციის შესახებ კანონის პროექტი. მან დაიწყო იმით, რომ უზენაესი საბჭოს წევრებს შეახსენა ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის გაუქმებისა და ავტონომიური ოლქის აღდგენის შესახებ გადაწყვეტილება, რომელიც მიიღეს 4 მაისს ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს ცხინვალში უკანონოდ მოწვეულ სესიაზე. აუწყა დამსწრეთ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს რა რეაქცია მოჰყვა ამას. ბატონმა თედო პაატაშვილმა დეპუტატებს გააცნო „სსრ კავშირის პრეზიდენტის 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულებისა და სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 1 აპრილის დადგენილების შესრულების შესახ ბ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო, საქალაქო, რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოების სახალხო დეპუტატთა კრების 1991 წლის 4 მაისის დადგენილების შესახებ“ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მიმდინარე წლის 12 მაისს მიღებული დადგენილების ტექსტი. როგორც ამ დოკუმენტიდან ჩანს, ზიილო რა ცნობად ეს დადგენილება, სსრ კავშირის უზენაესმა საბჭომ გადაწყვიტა ცნობისათვის გადასცეს იგი სსრ კავშირის პრეზიდენტს, აგრეთვე ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარეს და ეროვნებათა საბჭოს ეროვნული პოლიტიკისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობის კომისიას ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების პროექტზე მუშაობაში გამოყენებისათვის. ამასთან დაკავშირებით ბატონმა თედო პაატაშვილმა დეპუტატებს განსახილველად წარუდგინა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს შესაბამისი განცხადების პროექტი, იგი მიიღეს აზრთა გაზიარების შემდეგ.

რაც შეეხება საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებათა დადების რატიფიკაციის, შესრულებისა და დენონსაციის შესახებ კანონპროექტს, გადაწყდა მისი განხილვის გადადება. იგი დაურიგდათ დეპუტატებს გასაცნობად, შენიშვნებისა და წინადადებების შესატანად.

საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის ჯონი ხეცურიანის წარდგენით უზენაესმა საბჭომ განიხილა საქართველოს რესპუბლიკის ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის საკითხი. აზრთა გაზიარების შემდეგ, მიიღეს შესაბამისი კანონი.

უზენაესი საბჭოს კულტურის, განათლებისა და მეცნიერების მუდმივი კომისიის ქვეკომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ჩოლოყაშვილმა განსახილველად დააყენა ქალაქ თბილისის ლენინის რაიონისათვის სახელის შეცვლის საკითხი. უზენაესმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ლენინის რაიონს დაერქვას ღრმაღელის რაიონი.

ქალაქ ცხინვალში საგანგებო წესების მოქმედების ვადის გასვლასთან დაკავშირებით რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ აკაკი ასათიანმა განსახილველად გამოიტანა საკითხი იქ საგანგებო წესების კიდევ ერთი თვით გაგრძელების შესახებ. უზენაესმა საბჭომ მხარი დაუჭირა ამ წინადადებას.

რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების სხვადასხვა საკითხის გამო განცხადებები გააკეთეს და წინადადებები წამოაყენეს დეპუტატებმა მირიან მირიანაშვილმა, ფირუზ დიაკონიძემ, ავთანდილ იმნაძემ, ამირან კალაძემ, აკაკი ბობოხიძემ, პაატა ჩხეიძემ. კონკრეტულ საკითხს ახსნა-განმარტება მისცა უზენაესი საბჭოს კულტურის, განათლებისა და მეცნიერების მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ თეიმურაზ ქორიძემ. კანონმდებელთა არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია დეპუტატ რომან გოცირიძის განცხადებამ საპარლამენტო უმცირესობის ფრაქციის „დემოკრატიული ცენტრის“ შექმნის შესახებ.

საქინფორმის საპარლამენტო კორესპონდენტები.

# ცენტრალური საარჩევნო კომისიისაგან

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში დამთავრდა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატების რეგისტრაცია. ვაქვეყნებთ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატების სიას მათი მხარდამჭერთა სიების კომისიაში წარდგენის რიგის მიხედვით:

1. ზვიად გამსახურდია
2 ირაკლი შენგელაია
3. ჯემალ მიქელაძე
4. ვალერიან ადვაძე
5. თამაზ კვაჭანტირაძე
6. ნოდარ ნათაძე

რეგისტრაციაზე უარი ეთქვა როინ ლიპარტელიანს, რადგან კანონით დადგენილ ვადაში ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში წარმოდგენილი იქნა 10 000-ზე ნაკლები მისი მხარდამჭერის ხელმოწერა;

გივი ყორღანაშვილმა მხარდამჭერთა ხელმოწერების წარმოდგენამდე მოხსნა თავისი კანდიდატურა.

ქართლოს ღარიბაშვილმა ცენტრალურ [illegible] კომ[illegible]აში [illegible] წარმოადგ[illegible] [illegible]რდამჭერთა ხელმოწერები.

საქინფორმი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

## დადგენილება

### საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის მუდმივი კომისიის შექმნის შესახებ

**საქართველოს** რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის მუდმივი კომისია.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
**აკაკი ასათიანი.**

თბილისი. 1991 წლის 10 მაისი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დადგენილება

### ქ. ცხინვალის ტერიტორიაზე საგანგებო წესების გამოცხადების შესახებ

**საქართველოს** რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

გამოცხადდეს საგანგებო წესები ქ. ცხინვალის ტერიტორიაზე 1991 წლის 14 მაისის 22.00 საათიდან ერთი თვის ვადით.

კომენდანტის საათის მოქმედების ხანგრძლივობა განისაზღვროს 22.00 საათიდან 7.00 სათამდე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
**აკაკი ასათიანი.**

თბილისი. 1991 წლის 14 მაისი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დადგენილება

### საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის მუდმივი კომისიის შემადგენლობის შესახებ

**საქართველოს** რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

ადამიანის უფლებათა დაცვის მუდმივი კომისიის შემადგენლობაში არჩეულ იქნენ შემდეგი დეპუტატები:

**კომისიის თავმჯდომარე**

ავთანდილ პროკოფის ძე იმნაძე.

**კომისიის წევრები:**

იური გიორგის ძე ბურკაძე, ბიძინა გოდერძის ძე გიორგობიანი, ვიქტორ პეტრეს ძე დომუხოვსკი, ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ვარძელაშვილი, მაია პეტრეს ასული თომაძე, ამირან სერგოს ძე კალაძე, ზურაბ კონსტანტინეს ძე კანდელაკი, ვარლამ ვარლამის ძე კეშელავა, აკაკი ზურაბის ძე კომაძე, ავთანდილ ალექსანდრეს ძე კვეტენაძე, ალიკო შალვას ძე მელაძე, თევდორე გიორგის ძე ნინიძე, ნოდარ გიორგის ძე ნონიაშვილი, ზურაბ ტიტეს ძე სანიკიძე, გერმანე გერმანეს ძე ფაცაცია, ზაურ დავითის ძე ქობალია, მზექალა აკაკის ასული შანიძე, ვალტერ გრიგოლის ძე შურღაია, ვახტანგ შალვას ძე ცაგარეიშვილი, ვახტანგ ამირანის ძე ჭითავა.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
**აკაკი ასათიანი.**

თბილისი. 1991 წლის 10 მაისი.

# ქრონიკა, ინფორმაცია

13 მაისს საქართველოს უზენაესი საბჭოს პრესცენტრის ინიციატივით ჩატარდა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბატონ **ზვიად გამსახურდიას** პრესკონფერენცია უცხოელი ჟურნალისტებისათვის.

●

14 მაისს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ბატონი **ზვიად გამსახურდია** შეხვდა ქართველი ებრაელი ეროვნების წარმომადგენლებს. მათთან ერთად იყო საქართველოში სტუმრად მყოფი ისრაელის პარლამენტის წევრი, ისრაელის ტრანსპორტის მინისტრის მოადგილე, ისრაელ-საქართველოს მეგობრობის ასოციაციის „დერეხის“ თავმჯდომარე. ჩვენი თანამემამულე **ეფრაიმ გური.**

სისხლიანი ქრონიკა

# მკვლელები

გორში საბჭოთა საოკუპაციო არმიის ჯარისკაცებმა ავტომატის ცეცხლი გაუხსნეს „მტერს“ — მათ ტერიტორიაზე (?!) საბურთაოდ შესულ ბიჭებს.

[illegible] მოქალაქეებთან [illegible] მობრძმედილი“ წი[illegible] გამოეკიდნენ მათ და უკვე სამხედრო ნაწილის ტერიტორიის გარეთ მოკლეს 14 წლის ზაზა კაკაშვილი.

●

13 მაისს სოფელ ქურთაში სსრკ შინაგანი ჯარის სატვირთო ავტომანქანამ გაიტანა და მოკლა ადგილობრივი მკვიდრი კორნელი გაგლოშვილი.

●

13 მაისსვე შინაგანი ჯარის ნაწილის წარმომადგენლები ორი ჯავშანტრანსპორტიორით შეიჭრნენ გორის რაიონის სოფელ დისევში. სკოლის შენობიდან ჩამოგლიჯეს საქართველოს ეროვნული დროშა და შეკრებილი ხალხის თვალწინ დახიეს. შემდეგ ავტომანქანებით დახოცეს მოსახლეობის რამდენიმე ღორი, ჩაალაგეს ჯავშანტრანსპორტიორებში და ცხინვალისკენ გაბრუნდნენ.

---

**რედაქცია ამ ფაქტების შეფასებას ხთხოვს მკითხველთა ერთ ნაწილს, კერძოდ ომისა და შრომის იმ ვეტერანებს, რომლებიც რამდენიმე დღეა აღშფოთებულები განუწყვეტლივ გვირეკავენ და გვლანძღავენ იმის გამო, რომ „ახალგაზრდა ივერიელმა“ ზარ-ზეიმით არ აღნიშნა 1945 წელს, მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა არმიის გამარჯვებისა და აღმოსავლეთ ევროპის ხალხთა „განთავისუფლების“ 46-ე წლისთავი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# განცხადება

**საქართველოს** რესპუბლიკის უზენაესი საბჭო გაეცნო სსრკ უზენაესი საბჭოს 1991 წლის 12 მაისის დადგენილებას „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო, საქალაქო, სარაიონო, სახალხო და სასოფლო საბჭოების დეპუტატთა ყრილობის 1991 წლის 4 მაისის დადგენილებას პრეზიდენტის 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულებისა და სსრკ უზენაესი საბჭოს 1991 წლის 1 აპრილის დადგენილების შესრულების შესახებ“ და აცხადებს, რომ ზემოაღნიშნული დადგენილება წარმოადგენს სსრკ უზენაესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ საქართველოს სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის უხეშ მცდელობას. ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორია შეადგენს საქართველოს სუვერენული სახელმწიფოს განუყოფელ ნაწილს და არავის აქვს მისი სხვა ქვეყნის ტერიტორიასთან შეერთების საკითხის განხილვის უფლება. სსრკ უზენაესი საბჭოს 1991 წლის 12 მაისის დადგენილება ეწინააღმდეგება თვით სსრკ კონსტიტუციას, „სსრკ-სა და ფედერაციის სუბიექტებს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ“ სსრკ 1991 წლის 26 აპრილის კანონს, სსრკ პრეზიდენტისა და ცხრა მოკავშირე რესპუბლიკის ერთობლივ განცხადებას და ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების შესახებ მიღებულ ყველა დოკუმენტს.

სამწუხაროა, რომ სსრკ უზენაესი საბჭოს 12 მაისის დოკუმენტი მიიღეს მაშინ, როდესაც საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელთა ინიციატივით და საკავშირო დეპუტატთა მონაწილეობით შექმნილია სამმხრივი საპარლამენტთაშორისო კომისია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს, სსრკ უზენაესი საბჭოს, რსფსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა შემადგენლობით, რომელმაც უნდა შეიმუშაოს წინადადებანი ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე კონფლიქტური სიტუაციის მოსაგვარებლად. სსრკ უზენაესი საბჭოს ეს გადაწყვეტილება ეჭვქვეშ აყენებს სსრკ უზენაესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს 1991 წლის 24 აპრილს მიღებული დადგენილებით დასახული ღონისძიებების რეალიზაციის შესაძლებლობას. არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ ეროვნებათა საბჭოს აღნიშნულ სხდომაზე ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის რ. ნიშანოვის წინადადებით მიაღწიეს „კონსენსუსს“, რომელიც ითვალისწინებდა ყოფილი ავტონომიური ოლქის დეპუტატთა თავყრილობაზე უკანონოდ გამოცხადებული რესპუბლიკის „გაუქმებას და სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლების მონაწილეობას სსრკ, რსფსრ და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოების დეპუტატთა ერთობლივ კომისიაში. ამგვარად, დეპუტატ ა. ჩეხოევის აქცია ქ. ცხინვალში უნდა შევაფასოთ როგორც პროვოკაციული ნაბიჯი, სადეპუტატო ეთიკის უხეში დარღვევა და ეროვნებათა საბჭოს დადგენილების უგულებელყოფა — აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სსრკ უზენაესი საბჭოს, როგორც უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს, უფლება არ ჰქონდა განეხილა იმ ყოფილი დეპუტატების დადგენილება, რომლებმაც თვითონ მოიხსნეს სადეპუტატო უფლებამოსილება ავტონომიური ოლქის რესპუბლიკად გამოცხადებით.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს აღნიშნული დადგენილება კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, რომ სსრკ ხელმძღვანელობა ყველა ღონეს ხმარობს თავისუფლებისათვის მებრძოლი რესპუბლიკების დასასჯელად და ამ მიზნით მათი ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფასაც არ ერიდება.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო მტკიცე პროტესტს გამოთქვამს სსრკ უზენაესი საბჭოს 1991 წლის 12 მაისის დადგენილების გამო, მიიჩნევს მას საქართველოს საშინაო საქმეებში უხეშ ჩარევად, რაც ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს. საქართველოს რესპუბლიკის მიმართ მსგავსი პოლიტიკის გაგრძელება მიგვიყვანს ყოვლად გაუთვალისწინებელ შედეგებამდე. ასეთ შემთხვევაში პასუხისმგებლობა მთლიანად დაეკისრება საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობას.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე**
**ᲐᲙᲐᲙᲘ ᲐᲡᲐᲗᲘᲐᲜᲘ.**

თბილისი. 1991 წლის 14 მაისი.

პირველი საპრეზიდენტო

## უბადლო მაგალითი

ქ. თბილისის 172-ე საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი მხარს ვუჭერთ ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტად არჩევას.

მიგვაჩნია, რომ ბატონი ზვიად გამსახურდია პრეზიდენტობის ერთადერთი რეალური კანდიდატია. მას შესწევს უნარი გაუძღვეს ქართველ ხალხს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

ზვიად გამსახურდიას მთელი ცხოვრება და სიცოცხლე მამულისათვის თავშეწირვის უბადლო მაგალითია, ამიტომაც მოვუწოდებთ საქართველოში მცხოვრებ ყველა ადამიანს, ერთხმად დაუჭიროს მხარი ბატონ ზვიად გამსახურდიას. მისი გამარჯვება საქართველოს გამარჯვების ტოლფასია, ნანატრი დამოუკიდებლობის საწინდარია.

## ვინ ავირჩიოთ?

ამ პატარა წერილით მინდა ხმა მივაწვდინო საზოგადოება „ფერეიდნელი ქართველის“ ყველა წევრს, განსაკუთრებით მათ, ვინც საგარეჯოსა და გურჯაანის რაიონების ბაღ-ვენახებში საგაზაფხულო სამუშაოთი არიან დაკავებულნი.

დღეს ქართველი ერი არანაკლებ საპასუხისმგებლო ამოცანის წინაშე დგას, ვიდრე რეფერენდუმის წინაკამს. თავისუფლება ყველას გვინდა, მაგრამ ბეწვის ხიდი გვაქვს გასავლელი დამოუკიდებლობის სანაპირომდე. ვის ჩავაბაროთ საქართველოს ბედის სადავე? ვფიქრობ კაცს, რომელსაც თავგანწირვის უნარი აქვს, უკომპრომისოა იმპერიული ძალების მიმართ, შეუდრეკელია [illegible] მტრებთან ბრძოლაში. [illegible]ბრივ მაგალითს წარმოადგენს თავად, ვისაც აქვს პოლიტიკური ბრძოლის გამოცდილება და, რაც მთავარია, ვინც შესძლო ქართველ ხალხში იმედის გაცოცხლება.

იმ დროს, როდესაც კომუნისტური ძალმომრეობა მძვინვარებდა საბჭოთა იმპერიაში დაუსჯელად და განსხვავებულად ფიქრსაც კი ვერ ბედავდა ადამიანი, ქართველი ხალხი უიმედოდ შეჰყურებდა ჰაბუკების მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას განსაცვიფრებლად უთანასწორო ბრძოლას. ბევრს მათი თავგანწირვა ამაო ჯანჯვად მიაჩნდა. განა ახალგაზრდა მებრძოლებმა არ იცოდნენ, რომ იმპერიამ ბევრი გმირული შემართების ერისკაცი შთანთქა უკვალოდ, მაგრამ მათი ერთგულება და სიყვარული სამშობლოსადმი უსაზღვრო იყო და სწორედ ისინი აირჩია ღმერთმა ქართველ ხალხში იმედის ცეცხლის გასაღვივებლად. ხოლო რას ნიშნავს იმედჩასახული და ყალყზე შემდგარი საქართველო, ამას თითოეული ჩვენგანი კარგად ხედავს.

პირად ინტერესებზე მაღლა მდგომი კაცი სჭირდება საქართველოს და მე ასეთ ქართველად ბატონი ზვიად გამსახურდია მიმაჩნია, რომელიც არ დასთმობს საქართველოს არც ერთ გოჯ მიწას, ვიმეორებ, არ დასთმობს ქართული მიწის არც ერთ ნამცეცს. შეცდომისაგან არავინაა დაზღვეული, არც მარცხისაგან, ეს ღვთის ნებაა. მაგრამ მწამს, რომ საქართველოს ერთგულებაში და უღალატო ბრძოლაში ბატონ ზვიადს ვერავინ აჯობებს.

დღეს ვერავის გააკვირვებ კაცობრიობის მიერ დაგროვილი დიპლომატიური ხერხების ცოდნითა და გამოყენებით. საქართველოს იხსნის მხოლოდ სიმართლის დროშით ბრძოლა და მისი „ელასტიური პოლიტიკაც“ სწორედ სიმართლის გავრცელებაა მთელ ქვეყანაზე. მტერმა იცის, რომ საქართველოს სიმართლე იხსნის, ამიტომაც ამახინჯებს ჩვენ სიმართლეს [illegible], დეზინფორმაციას უმკა[illegible] აყენებს საქართველოს წინააღმდეგ.

არავის ეგონოს ზვიად გამსახურდიას წარსულით მოხიბლული, ან აწმყო გამარჯვებებით აღტაცებული ემოციებს აყოლილი ვამბობდე სათქმელს. ძალიან ბევრს ვფიქრობ, ვის მივანდო ჩემი საყვარელი საქართველოს, ჩემი ბედკრული ხალხის ხვალინდელი დღე. ჩემს თავთან და სამშობლოს ბედით დაინტერესებულ ადამიანებთან მრავალგზის კამათის შემდეგ ერთადერთ დასკვნამდე მივედივარ. მაღლა ღმერთს უნდა ვენდოთ და დაბლა ბატონ ზვიადს.

იმპერიულ ძალებთან უთანასწორო ბრძოლაში გამარჯვებამდე შესაძლოა ბევრჯერ დავმარცხდეთ, მაგრამ ნურავის ჰგონია, რომ ბრძოლის რომელიმე სხვა ტაქტიკა უდანაკარგო იქნება. ნუ გვავიწყდება, რომ ამ გაუგონრად უთანასწორო ბრძოლაში ღვთიური ძალა აირჩევს გამარჯვებულ მხარეს. ჩვენთვის მთავარია გვჯეროდეს, რომ პრეზიდენტი პატიოსანი იქნება ღვთისა და ერის წინაშე.

ღმერთს ებარებოდეს საქართველო ბატონ ზვიადის წინამძღვრობით!

**ᲪᲘᲡᲐᲜᲐ ᲙᲣᲮᲘᲐᲜᲘᲫᲔ.**
**საზოგადოება „ფერეიდნელი ქართველის“ თავმჯდომარე.**

## მხარს ვუჭერთ

ძალიან გაგვიხარდა, რომ საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაში გაატარა ბატონ თამაზ კვაჭანტირაძის კანდიდატურა. მე მგონია, რომ საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე ასეთი ჰუმანური პიროვნების ყოფნა ბევრ პრობლემას მოხსნის და ჩვენი დღევანდელი პოლიტიკა უფრო მოქნილი გახდება. ჩვენ მხარს ვუჭერთ თამაზ კვაჭანტირაძის კანდიდატურას.

**ᲘᲜᲒᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲝᲑᲘᲐᲜᲘ,**
**ᲘᲜᲔᲡᲐ ᲑᲐᲮᲢᲐᲫᲔ.**
**აბიტურიენტები.**

## მონობის ტოლფასი მშვიდობა?

პატივცემულო რედაქცია, მე პოლიტიკოსი არ გახლავართ, მაგრამ მინდა ჩემი აზრი გამოვთქვა ბატონ თამაზ კვაჭანტირაძის 13 მაისის სატელევიზიო გამოსვლასთან დაკავშირებით. მე დიდ პატივს ვცემ მას, როგორც კარგ, პროფესიონალ ლიტერატორს, პედაგოგს, მაგრამ მისმა მსჯელობამ უფრო დილეტანტურის (კარგი გაგებით) და ცალმხრივის შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე. ცხადია, ასეთი შეფასება მკაცრია, მაგრამ მკაცრია ის მოთხოვნებიც, რომელიც პრეზიდენტობის კანდიდატს წაეყენება, იმ კაცს, ვისაც აქვს პრეტენზია იყოს ერის წინამძღოლი ამ ურთულეს ისტორიულ პერიოდში.

მაგალითად, ვერაფრით ვერ დავეთანხმები ბატონი კანდიდატის მსჯელობას მშვიდობის შესახებ. კერძოდ, მან განაცხადა, რომ მომავალმა პრეზიდენტმა უნდა დაამყაროს მშვიდობა. მე მესმის, წინასაარჩევნო კამპანიისას მიღებულია, კანდიდატმა, ამომრჩეველთა გულის მოსაგებად, გარკვეულ მომგებიან ხერხს, მომგებიან თემებს მიმართოს. ამ შემთხვევაში ბატონი თამაზი არეულობითა და შფოთით, ბრძოლითა და ომით დაღლილ ხალხს მშვიდობას ჰპირდება. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ, განა დიდი მიხვედრა უნდა იმას, რომ მსგავსი „მშვიდობიანი“ პროგრამა დღეს არარეალურია? და უფრო მეტიც, ხიფათი სწორედ მის გარეალურობაში მდგომარეობს. ახლავე გაგიშიფრავთ თუ რისი თქმა მსურს. რომელ მშვიდობაზე შეიძლება ახლა ლაპარაკი, რომელ მშვიდობას გულისხმობს, რანაირად ესახება ის ბატონ კანდიდატს? მე ბოდიშს ვიხდი, მაგრამ მისი ცალმხრივი, დაუსაბუთებელი მსჯელობის გამო ხომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ მას მხედველობაში აქვს ის „მშვიდობა“, რომელიც უკანასკნელი 70 წლის თუ საერთოდ უკანასკნელი 200 წლის განმავლობაში გვქონდა. ეს მშვიდობა ხომ, ფაქტობრივად, მონობის, დილეგში ჩასმული კაცის ყოფის ტოლფასი იყო. დღეს საქართველო იბრძვის, იბრძვის თავისი თავისუფლებისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, მონობის ბორკილის მთლიანად დამსხვრევისათვის. ასეთ დროს რას ნიშნავს მშვიდობისაკენ მოწოდება? შევწყვიტოთ ბრძოლა და დავემორჩილოთ მტერს? შევუერთდეთ სოციალიზმისა და „ნათელი მომავლისათვის“ მებრძოლ ცხრა რესპუბლიკას, მოვაწეროთ ხელი სამოკავშირეო ხელშეკრულებას და ვიყოთ სამარადჟამოდ ასე „მშვიდობით“, ყელზე ჯაჭვმობმული? ბატონი კანდიდატისათვის ხომ შესანიშნავადაა ცნობილი, რომ სრული და ნაღდი მშვიდობა მხოლოდ და მხოლოდ თავისუფლების პირობებშია შესაძლებელი და სხვა დანარჩენი მშვიდობა თავის მოტყუება იქნებოდა. დღეს ქართველი ერი იბრძვის და ეს სხვა არაფერია, თუ არა განხორციელება პრინციპისა — „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა...“ დღევანდელი მშვიდობა სწორედ რომ ასეთი ნაზრახი სიცოცხლე იქნებოდა.

ბატონმა თამაზმა თავის გამოსვლაში ხაზგასმით ისაუბრა პურზეც, საჭმელზეც, წამლებზეც. ცხადია, ეს ყველაფერი კარგია და აუცილებელი, მაგრამ ისევ და ისევ ცალმხრივმა მსჯელობამ იცით რა გამახსენა? 1921 წელი — როცა ჩვენი „წითელი მეგობრები“ სწორედ სოციალურის პრიმატის მოთხოვნებით შემოდიოდნენ და ხალხს მიწასა და საჭმელს ჰპირდებოდნენ. მსგავსი ყბადაღებული ლოზუნგებით ცდილობდნენ მიეჩქმალათ ეროვნული პრობლემები. მე, ცხადია, არავის არ ვდებ ბრალს, მე მხოლოდ ჩემი, შესაძლოა, სუბიექტური შთაბეჭდილება გაგიზიარეთ, რაც დამრჩა ბატონ თამაზ კვაჭანტირაძის სატელევიზიო გამოსვლის შემდეგ.

**პატივისცემით ᲔᲚᲔᲜᲔ ᲮᲣᲠᲝᲫᲔ,**
**პედაგოგი.**

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატის **ᲕᲐᲚᲔᲠᲘᲐᲜ ᲐᲓᲕᲐᲫᲘᲡ**

## განცხადება

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები მიმდინარეობს არანორმალურ ვითარებაში, კანონის აშკარა უხეში დარღვევით.

ჩემს წინააღმდეგ გაჩაღებულია ლანძღვისა და ცილისწამების აღვირახსნილი კამპანია, ხოლო მე და ჩემს ნდობით აღჭურვილ პირებს არ გვეძლევა არანაირი საშუალება პასუხი გავცეთ ჩვენს მიმართ ხელისუფალთა მიერ ორგანიზებულ დეზინფორმაციასა და ყოვლად უსაფუძვლო ბრალდებებს.

არ წყდება პროვოკაციები ჩემსა და იმ ადამიანთა მიმართ, ვინც მე მიჭერს მხარს საარჩევნო კამპანიის დროს.

უხეშად ირღვევა პრეზიდენტობის კანდიდატის უფლებები და ხელშეუხებლობა.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა, მათ შორის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანოს მიერ გამოცხადებული ვარ ერის მოღალატედ და მოითხოვენ ჩემთვის საქართველოს მოქალაქის უფლებების ჩამორთმევას.

ჩემს მიერ გარკვეულ ობიექტურ მიზეზთა გამო პირადი მცველების დაქირავების ფაქტის ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟი მიზნად ისახავს ამომრჩეველთა შოტყუებას.

ყოველივე აღნიშნულის გამო ვაცხადებ კატეგორიულ პროტესტს უკიდურესი ფორმით — ვიწყებ შიმშილობას.

მოვითხოვ:

1. შეწყდეს ჩემი პოლიტიკური დევნა და პროვოკაციები. მე და ჩემს ნდობით აღჭურვილ პირებს მოგვეცეს სატელევიზიო გამოსვლების შესაძლებლობა.
2. რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატს ბატონ ზვიად გამსახურდიას ვიწვევ ტელედებატებში, რომელიც აუცილებლად უნდა გადაიცეს პირდაპირ ეთერში.
3. შექმნილ სიტუაციაში გარკვევისა და მსოფლიოს საზოგადოებრიობისათვის ობიექტური ინფორმაციის მიწოდების მიზნით ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საქართველოში მოიწვიოს ჰელსინკის საერთაშორისო კავშირის წარმომადგენლები.
4. წინამდებარე განცხადება გამოქვეყნდეს რესპუბლიკურ პრესაში და გადაიცეს ტელევიზიით.

**ᲕᲐᲚᲔᲠᲘᲐᲜ ᲐᲓᲕᲐᲫᲔ**

**ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐᲒᲐᲜ: 18 მაისს ეკონომიკის დაგეგმვისა და მართვის სისტემების ინსტიტუტში მომხდარი ინციდენტის გამო აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. პროკურატურის თხოვნით ჩვენ თავს ვიკავებთ მისი, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატის ბატონ ვალერიან ადვაძის მიერ მოსკოვიდან აგენტების მოწვევის ფაქტის შეფასებისაგან.**

პირველი საპრეზიდენტო

**14 მაისს საქართველოს უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგ სხდომაზე საქართველოს სახალხო ფრონტის, საარჩევნო ბლოკ „დემოკრატიული საქართველოს“ წევრების ერთმა ნაწილმა და აგრეთვე უპარტიო დეპუტატებმა განაცხადეს, რომ აარსებენ საპარლამენტო უმცირესობის ფრაქციას — „დემოკრატიული ცენტრი“. ეს, ვფიქრობთ, ლოგიკური შედეგია საპარლამენტო მუშაობის 6 თვის გამოცდილებისა, როდესაც უკვე გარკვეულად გამოიკვეთა უმცირესობის განსხვავებული პოზიციები. გთავაზობთ დეპუტატ რომან გოცირიძის მიერ სხდომაზე წაკითხულ განცხადებას.**

# საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ფრაქციის „დემოკრატიული ცენტრის“ დეკლარაცია

1991 წლის 14 მაისს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრებმა საქართველოს სახალხო ფრონტიდან და საარჩევნო ბლოკიდან „დემოკრატიული საქართველო“, აგრეთვე, უპარტიო დეპუტატებმა შექმნეს საპარლამენტო უმცირესობის ფრაქცია „დემოკრატიული ცენტრი“.

საქართველოში პოლიტიკური პროცესების დემოკრატიული გზით განვითარება, სახელმწიფო ხელისუფლების ახალი, დამოუკიდებელი სტრუქტურების ჩამოყალიბება და მათი გონივრული მართვა, პოლიტიკური პლურალიზმის დამკვიდრება, მემკვიდრეობით მიღებული მმართველობის ავტორიტარული ფორმების აღმოფხვრა, ჩვენის აზრით, შეუძლებელია ხელისუფლების დემოკრატიზაციის, პარლამენტში აზრთა ჭიდილისა და პოზიციათა ურთიერთშეთანხმების გარეშე. უკრიტიკო ერთსულოვნება და კონსტრუქციულ დაპირისპირებათა უქონლობა ადუნებს პარლამენტს და დამღუპველი ერთაზროვნებისაკენ მიაქანებს მას. განსხვავებული აზრის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია პარლამენტის ნორმალური მუშაობა, სწორი და ობიექტური გადაწყვეტილებების მიღება. სწორედ ამიტომ მიგვაჩნია, რომ აუცილებელია საპარლამენტო უმცირესობის ფრაქციის შექმნა. ისეთი ჯგუფის ორგანიზაციულად ჩამოყალიბება, რომელიც თავის შეხედულებებს და თავის პოლიტიკას საჭირო შემთხვევაში დაუპირისპირებს უმრავლესობის იმ შეხედულებებსა და პოლიტიკას, რომელიც მისთვის მიუღებელია. ასეთი სახის ფრაქციული მუშაობა არის გონივრული პოლიტიკის გამომუშავების ნაცადი და ეფექტიანი ფორმა ცივილიზებულ დემოკრატიულ ქვეყნებში.

დემოკრატიული ხელისუფლება ხელს უწყობს ოპოზიციის საქმიანობას, რათა ერთობლივი ძალისხმევით მოხდეს საუკეთესო გზის გამონახვა.

ამა თუ იმ ქვეყნის დემოკრატიულობის ხარისხი ოპოზიციასთან მიმართებაშიც ვლინდება.

ოპოზიციური ფრაქციის — „დემოკრატიული ცენტრის“ შექმნა განაპირობა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ნახევარწლიანი მუშაობის შედეგებმა და მიღებულმა გამოცდილებამ. იგი შეიქმნა უმრავლესობის პოლიტიკაზე ორგანიზაციული ზემოქმედების, უმცირესობის ინტერესების დაცვის, აგრეთვე, ალტერნატიული პოზიციის კოლექტიურად ჩამოყალიბებისა და წარდგენის მიზნით.

საპარლამენტო ფრაქცია, როგორც ორგანიზაციულად შეკრული ჯგუფი, ნაკლებად იქნება დამოკიდებული უმრავლესობის მხრით ზემოქმედებისაგან, ვიდრე ცალკეული პიროვნება, ხოლო ერთ პოზიციაზე მდგომი დეპუტატების საპარლამენტო მუშაობის ნაყოფიერება და მისი ხარისხი გაცილებით უფრო მაღალი იქნება მათი კოორდინირებული და შეთანხმებული მოქმედების შემთხვევაში, ვიდრე ამავე შეხედულებათა ინდივიდუალურად გატანისა და მათი დამოუკიდებლად დაცვის დროს.

საპარლამენტო ფრაქციის შექმნა ხელს შეუწყობს უზენაესი საბჭოს შიგნით და მის გარეთ მოქმედი პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების თანამშრომლობისათვის სასურველი პირობების შექმნას, მათ ჩართვას საკანონმდებლო საქმიანობაში, ამომრჩეველთა ინტერესების სრულად გათვალისწინებას და დაცვას.

ჩვენი ფრაქციის მომავალი მუშაობის საფუძველი იქნება დემოკრატიული ქვეყნების საპარლამენტო საქმიანობის გამოცდილება, დემოკრატიის საპარლამენტო პრინციპების დაცვა, სიმართლე და [illegible] [illegible] ამომრჩევლებზე ზემოქმედების პოპულარული მეთოდების უარყოფა და საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში მხოლოდ პატიოსანი ხერხების გამოყენება.

ფრაქცია ყოველთვის დაუჭერს მხარს საპარლამენტო უმრავლესობის გონივრულ და კონსტრუქციულ პოზიციას, ამოუდგება მხარში ყველა მის საქმიან წამოწყებას, ხელს შეუწყობს ერისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის კანონების შექმნას და მათ ცხოვრებაში გატარებას.

საპარლამენტო ფრაქცია „დემოკრატიული ცენტრი“ ორგანიზაციულად ღია ჯგუფია. მასში შეიძლება შევიდეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ნებისმიერი წევრი, რომელიც იზიარებს ფრაქციის ძირითად პრინციპებს და რომელიც არ ეკუთვნის ისეთ პარტიას, ვისი პროგრამაც შეუთავსებელ წინააღმდეგობაშია ფრაქციის პრინციპებთან.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრები:**
**1. ნოდარ ნათაძე, 2. ელდარ შენგელაია, 3. რომან გოცირიძე, 4. თედო ნინიძე, 5. დავით არევაძე, 6. დავით ბერძენიშვილი, 7. პაატა კოღუაშვილი, 8. აკაკი ბობოხიძე, 9. ანზორ სიჭინავა, 10. თამაზ დიასამიძე,, 11. კუკური ჩაჩიბაძე, 12. გივი ლობჟანიძე.**

**მიუხედავად დეპუტატთა სურვილისა, ამ საკითხის ირგვლივ კამათი არ გამართულა, ვინაიდან თავმჯდომარემ ბატონმა აკაკი ასათიანმა დასაწყისშივე ხაზგასმით განაცხადა, რომ ყველა დეპუტატს აქვს ფრაქციის შექმნის უფლება, რომ ის მხოლოდ ხელს შეუწყობს პარლამენტის მუშაობას და ფრაქციის წევრებს მისცა ნორმალური ფუნქციონირების გარანტიები.**

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესია













ამ ფოტორეპორტაჟში, რომელიც ჩვენმა კოლეგებმა საქინფორმიდან გონდო დადვაძემ და გივი კიკვაძემ შემოგვთავაზეს, საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატები და მთავრობის წევრები სესიის სხდომებს შორის შესვენებაზე არიან აღბეჭდილნი.

# „ეჰ! ამერიკა, ამერიკა...“

## (კანადა—ამერიკის შთაბეჭდილებები)

კანადაში, ჩვენი ბოლო კონცერტი ქ. ვანკუვერში იყო დანიშნული. ქ. კალგარიდან ვანკუვერამდე ძალიან დიდი მანძილია, ამიტომ იმპრესარიომ გადაწყვიტა ჩვენი გამგზავრება თვითმფრინავით. ამ ტრასაზე მთიანი ლანდშაფტის გამო პატარა თვითმფრინავები დაფრინავენ, ამიტომ ვანკუვერში ორ რეისად გავფრინდით. ერთი ჯგუფი უთენია გაფრინდა. მეორე თვითმფრინავმა კი უამინდობის გამო დაიგვიანა. ავიაკომპანიამ ბოდიში მოგვიხადა, მერე გვასადილეს და ამ დროს თვითმფრინავიც მოფრინდა.

ვანკუვერამდე გზას თითქმის ორი საათი მოვუნდით. ცუდი ხილვადობის გამო თვითმფრინავი კიდევ ნახევარ საათს ვერ დაჯდა. ამიტომ თვითმფრინავში დაგვალევინეს კონიაკი, ლუდი, დაგვირიგეს ტკბილეული, როგორც იქნა კონცერტის წინ ორი საათით ადრე ჩამოფრინდა ჩვენი ჯგუფი.

კონცერტი გაიმართა ვანკუვერის უდიდეს საკონცერტო დარბაზში, სადაც 2800 კაცი ეტევა. კონცერტის წინ დიდი აჟიოტაჟი იყო ატეხილი. კონცერტს დაესწრო ვანკუვერის საუკეთესო საზოგადოება.

როცა ფარდა დაიხურა, სცენაზე გამოვიდნენ ბიმსი, კენი და რობერტი. ისინი თვალცრემლიანი დაგვემშვიდობნენ, ვინაიდან ზვალიდან ამერიკის იმპრესარიოს ახალი ჯგუფი მოჰყავდა ჩვენთვის.

მართლაც ძალიან დაგვწყდა გული ამ შესანიშნავ ადამიანებთან განშორებით. ხუმრობა ხომ არაა, ჩვენ მთელი თვე ერთად ვიმუშავეთ, ისინი თანაბრად იზიარებდნენ ჩვენს გაჭირვებასა და წარმატების სიხარულს.

გამოსათხოვარი სიტყვა კენმა ქართულად წარმოთქვა, თურმე ამ ტექსტს რამდენიმე დღე სწავლობდა. მან თქვა, რომ ჩვენთან გატარებული დრო მათთვის დაუვიწყარია და ისინი კვლავ დიდი სიამოვნებით იმუშავებენ ჩვენთან. გმადლობთ ქართველებო! ასე დაამთავრა კენმა თავისი სიტყვა და თვალცრემლიანმა გადაკოცნა მთელი ანსამბლი. ბიმსმა ჩვენს საპატივცემლოდ მანდოლინაზე შეასრულა „სულიკო“.

ამის შემდეგ იმპრესარიო ცუკერმანმა ვახშამზე მიგვიწვია, რომელიც იქვე თეატრში გაგვიმართა. მან მოგვილოცა გასტროლების წარმატებით დამთავრება კანადაში და გვისურვა ასეთივე წარმატებები აშშ-შიც. თავისი გამოსვლის ბოლოს ცუკერმანმა იხუმრა: „საქართველოში თოვლი არ არის, ხომ ხედავთ მე რა თოვლიანი ქვეყანა გაჩვენეთო“? ამაზე ჩვენ ვუთხარით, — „დალოცვილო, თოვლი, რომ გვდომოდა, რუსეთში წავიდოდით გასტროლებზე“.

გამოსათხოვარ ვახშამზე იმპრესარიომ მიიწვია ვანკუვერის გამოჩენილი ადამიანები, რომლებმაც ბევრი თბილი და საქებარი სიტყვა თქვეს ჩვენს მიმართ. თითქმის ყველა გამომსვლელმა თავისი სიტყვა ასე დაამთავრა: „გმადლობთ საქართველოვ“.

მეორე დღეს ისეთი თოვლი დადო, რომ ვანკუვერი ვეღარ დავათვალიერეთ, ამიტომ ჩავალაგეთ ჩვენი ბარგი და გეზი აშშ-სკენ ავიღეთ.

●

ვანკუვერიდან გავემგზავრეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში ქ. იუჯინში (ორეგონის შტატი). მთელი დღე გზაში გავატარეთ, შეუწყვეტლად თოვდა. კანადის საზღვარზე ერთხელ კიდევ „დაველოდეთ“ პოლიციელებს, რომ პასპორტებში ბეჭდები ჩაერტყათ და გადავედით აშშ-ში.

ღამის 10 საათზე, როგორც იქნა, ჩავაღწიეთ ქ. იუჯინში. მეორე დღეს ჩვენს კონცერტს 2500 კაცი დაესწრო. იუჯინში ახალი დამხმარე ჯგუფი შემოგვიერთდა. ესენი იყვნენ: გრეტჩენი (გერმანელი ქალი, სცენის რეჟისორი), ტერი (ხანდაზმული ქალბატონი, კომერციული დირექტორი) და შელი (ახალგაზრდა მომხიბლავი ამერიკელი გოგონა, მეგარდერობე).

ავტობუსებს ამჯერად ყოველ ქალაქში გვიცვლიდნენ. იუჯინიდან გავემგზავრეთ ქ. პორტლენდში. სადაც ჩვენს კონცერტს 3400 კაცი დაესწრო. აღსანიშნავია, რომ კონცერტის ბოლოს, მაყურებელი ფეხზე ადგა და ჩვენთან ერთად იმღერა „ამერიკა, ამერიკა“. ასე იყო ქ. იუჯინშიც.





18 თებერვალს გზა კალიფორნიისაკენ ავიღეთ. თოვლი აქა-იქ თუ გვხვდებოდა, საკმაოდ დათბა. ავტობუსიდან ხარბად ვათვალიერებდით მიდამოს. გაგვაკვირვა საძოვრების სიმრავლემ. იქ საძოვრებს საუკეთესო მიწები უჭირავს, საავტომობილო ტრასას მთელ სიგრძეზე გასდევს მავთულის ღობე. რომ ცხოველები გზაზე არ გამოვიდნენ. დასახლებულ ადგილებში უკვე შედგომოდნენ საგაზაფხულო სამუშაოებს. ყველა ოჯახში იდგა სხვადასხვა ზომის რამდენიმე ტრაქტორი, აგრეთვე საბარგო და მსუბუქი ავტომანქანები. ამ შტატში, როგორც შევნიშნეთ, ძირითადად მეცხოველეობა იყო განვითარებული. შეღობილ საძოვრებზე საუკეთესო ჯიშის საქონელი ძოვდა. ხეხილიდან ძირითადად ვაშლის ხეები იყო მოშენებული. ვაშლებს უკვე სხლავდნენ, მათ კენწეროებს აჭრიდნენ, ასეთ შემთხვევაში ვაშლი იტოტება დაბალზე, სიმაღლეში აღარ იზრდება, მეტ მზეს იღებს, მოსავალიც მეტი მოდის და ხარისხიც უკეთესიაო, გვითხრეს. აქაური ვაშლები, თურმე, ერთ-ერთი საუკეთესოა ამერიკაში. საინტერესოა, რომ ამერიკის რეგიონებში მოჰყავთ მხოლოდ ის კულტურა, რომელიც კარგად ხარობს. ამიტომ მოსავალიც კარგია და ხარისხიანი (აბა ჩვენს რაიონს ევალებოდა: რძის, ყველის, კვერცხის, თაფლის, თხილის, სიმინდის, ჩაის, დაფნის, ყურძნის სხვადასხვა ხეხილის და სხვა გეგმების შესრულება. ამიტომ იყო, რომ გეგმა მხოლოდ ქაღალდზე სრულდებოდა და ახლა ამ დღეში ჩავვარდით).

გზაზე ჩვენი ავტობუსი გაჩერდა სასაუზმესთან, სუფრა უკვე გაშლილი დაგვხვდა. საინტერესოა, რომ სასაუზმემდე ნახევარი საათის სავალზე, გზაზე დგას სპეციალური ჯიხურები, მძღოლს შეუძლია შეუკვეთოს საუზმე (როგორი მენიუც სურს) ან სადილი. როცა სასაუზმესთან მიხვალთ, სუფრა გაშლილი გხვდებათ, ხოლო საგზალი გამზადებული, ამიტომ დრო ცოტა იკარგება. დრო ამერიკაში ყველაზე ძვირად ფასობს.

ქალაქის შესასვლელებში გაკეთებულია ლითონის კონსტრუქციის ფარდულები მანქანების გასარეცხად. ავტომატში ჩააგდებთ ფულს და შეგიძლიათ მანქანა თქვენვე გარეცხოთ. გრძელტარიანი ჯაგრისებიდან გამოდის სპეციალური შამპუნი, რომლესაც მანქანას გადაუსმევთ, შემდეგ იმავე ჯაგრისიდან სუფთა წყალს გადაავლებთ და მანქანაც 5 წუთში გარეცხილია. აქვეა დიდი მტვერსასრუტიც, რომელიც მტვერს იღებს კაბინიდან.

ყოველივე ეს ძალზე მოხერხებულია და ქალაქშიც სუფთა მანქანები შედიან.

ქ. ეშლენდი პატარა საკურორტო ქალაქია. იგი მთებში მდებარეობს კალიფორნიის საზღვართან. „ეშლენდი“ ნიშნავს ფერფლიან მიწას. ეს სახელი დაკავშირებულია ჩამქრალ ვულკანთან „შასტასთან“, რომელიც ამ ქალაქთან ახლოს მდებარეობს. ეშლენდში ღამე გავათენეთ და დილით გავემგზავრეთ კალიფორნიის ქ. სანხოსეში. გზა მთებში მიდიოდა. გზაც სწორედ ამას ქვია, ფართო, ცალმხრივი, რამდენიმე მწკრივი ტრანსპორტისათვის განსაზღვრული. ძალიან ლამაზია მთა „შასტა“, რომელიც აქაური ინდიელებისათვის „წმინდა მთას“ წარმოადგენს.

კალიფორნიის საზღვართან გაგვაჩერეს. ავტობუსში ამოვიდა პოლიციელი ქალი და გაგვაფრთხილა, ვისაც ხილი გვქონდა, საჩქაროდ უნდა გადაგვეყარა იქვე მდგომ ნაგვის ყუთში. კალიფორნიაში, სხვა შტატებიდან ხილის შეტანა სასტიკად აკრძალულია.

ჩვენ სამხრეთისაკენ მივიწევდით. თანდათან დათბა. მერე გამოჩნდა ევკალიპტები, მაგნოლიები, და პალმები. იგრძნობოდა ზღვის სიახლოვე. ნაშუადღევს გზაში შევისვენეთ. ბიჭებმა პირველად გაიხადეს თბილი ტანსაცმელი და პიჯაკის ამარა გამოვიდნენ ავტობუსიდან. რამდენიმე საათში ზამთრიდან ზაფხულში მოვხვდით. გამოჩნდა მსხმოიარე მანდარინები და ლიმონები.

მივუახლოვდით ქ. სან-ხოსეს. იგი ლამაზი ქალაქია, მარადმწვანე ხეებით. ქუჩებში და ეზოებშიც მსხმოიარე ციტრუსები დგას. ოღონდ უფრო დიდები ვიდრე ჩვენთანაა.

მეორე დღეს შევხვდით კომპოზიტორ რიჩარდს, რომელმაც დაწერა სიმღერა „თავისუფლება“. ეს სიმღერა 11 მარტს უნდა შესრულდეს საზეიმო საღამოზე საქვეყნოდ განთქმული „ჰოლივუდის“ საკონცერტო დარბაზში. სიმღერის ნოტები მოგვიტანეს ორი კვირით ადრე და იგი ავტობუსში შევისწავლეთ (სხვა დრო არ გვქონდა).

კომპოზიტორ რიჩარდს შევხვდით დილით, ჩვენი სასტუმროს გვერდით — რესტორანში (რადგან როიალი მხოლოდ იქ იდგა). იგი ასე 60 წლის სიმპატიური მამაკაცია, რიჩარდსმა მიგვიწვია ესტრადაზე, როიალს თითონ მიუჯდა და როცა სიმღერა დავამთავრეთ, თქვა: „ეს რა კარგი სიმღერა დამიწერიაო, — თანაც დაუმატა: — მე ჩამოვედი იმისთვის, რომ თქვენთან მემუშავა, თქვენ კი უკვე ყველაფერი გისწავლიათო“.

კომპოზიტორი ქართული სიმღერით დაინტერესდა, ჩვენ რამდენიმე სიმღერა შევასრულეთ. მან მაღალი შეფასება მისცა ხალხურ სიმღერებს და თქვა: „ამის მსგავსი არაფერი მომისმენიაო“.

როცა რეპეტიცია დავამთავრეთ, ჩვენთან მოვიდა რესტორნის დირექტორი და გვითხრა: „მე ბერძენი ვარ, გამიგონია, რომ თქვენც ჩვენსავით უძველესი კულტურა გაქვთ, ამიტომ საქართველოს დიდ პატივს ვცემ, დღეს საღამოს, თქვენს კონცერტს დიდძალი მაყურებელი დაესწრება. კონცერტის შემდეგ, აი ის ორი ჯენტლმენი, ანსამბლის მთელ შემადგენლობას (ხელი გაიშვირა მათკენ) გეპატიჟებათ ჩვენს რესტორანშიო“.

კონცერტის შემდეგ მაყურებელი დიდხანს არ იშლებოდა. ჩვენმა მასპინძლებმა მდიდრული სუფრა გაგვიშალეს. მათ მასაჟისტიც კი მოგვიყვანეს სპეციალურად, კონცერტიდან დაღლილები მოვლენ და ენერგია უნდა აღვუდგინოთო.

ქეიფი ღამის სამ საათამდე გაგრძელდა. მასპინძლებს ჩვენთან განშორება ეძნელებოდათ, ცეკვათამაშს ბოლო არ უჩანდა, ამერიკელები სიამოვნებით ცეკვავდნენ ქართულად როგორც შეეძლოთ.

ჩვენს მასპინძლებს, (რომელთაც ვინ იცის რამდენი დაუჯდათ ჩვენი მიპატიჟება) ისე დავშორდით. სახელებიც კი არ გვითხრეს: რა მნიშვნელობა აქვს თქვენთვის ჩვენს სახელებს, რიგითი ამერიკელები ვართ, რომელთაც ძალიან მოგვეწონა თქვენი ხელოვნება და იმიტომ დაგპატიჟეთო.

მეორე დღეს სან-ფრანცისკოში გავემგზავრეთ. ქალაქში გზა მაღლობიდან შედის. ამ მაღლობზე აშენებულია სპეციალური გადასახედი, საიდანაც მთელი სან-ფრანცისკო ხელის გულივით მოჩანს. როგორც სახლები, ისე მათი სახურავები, სხვადასხვაფერად შეღებილი, ფერთა იშვიათ გამას ქმნის და განსაკუთრებულ კოლორიტს აძლევენ ამ ქალას. ქალაქში ბევრი ულამაზესი პარკია, იშვიათი ხეებით და ყვავილთა სიმრავლით. ისინი უფრო ბოტანიკურ ბაღებს მოგვაგონებენ. ეს პარკები სავსეა ქალაქის მცხოვრებლებითა და უცხოელი ტურისტებით.

ქალაქის ცენტრი წარმოადგენს ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული ცათამბჯენების ჯარს, რომელშიც ფინანსური ცენტრებია მოთავსებული. ქალაქში ერთ ვაკე ადგილს ვერ ნახავთ, ქუჩები სულ აღმართ-დაღმართებზეა გაშენებული, შენობებიც რელიეფის შესაფერისი დგას. ბევრი მათგანი არქიტექტურის საუკეთესო ნიმუშია. ქალაქის ასეთი რელიეფი, ამერიკაში სხვაგან არ შემხვედრია. საინტერესოა, რომ სან-ფრანცისკოს ქუჩებში შუქნიშნებს იშვიათად შეხვდებით, მიუხედავად ამისა, ავტომობილების მოძრაობა ფრიად მოწესრიგებულია.

სან-ფრანცისკოში დიდი ადგილი უჭირავს ჩინურ კვარტალს, სადაც მხოლოდ ჩინელები ცხოვრობენ. აქ არის ჩინური მაღაზიები, რესტორნები და სავაჭრო უბნები ჩინური და ინგლისური წარწერებით.

ქალაქის მშვენებაა სან-ფრანცისკოს ყურე, იგი მართლაც ულამაზესი სანახავია. სანაპიროზე ცხოვრება დუღს ათასნაირი გასართობებით.

დიდ შთაბეჭდილებას ახდენენ სან-ფრანცისკოს ხიდები. ერთი მათ შორის ცნობილი ხიდია, რომელიც შარშან მიწისძვრის დროს ჩაინგრა, თუმცა იგი მალე აღადგინეს. ხიდი ორსართულიანია. ავტომობილების მოძრაობა ცალმხრივია. ქალაქში შედიხართ. ზედა სართულით, საიდანაც საოცარი სანახაობა იშლება. ხიდი დაკიდული კონსტრუქციითაა ნაგები. მისი სიგრძე 7,2 კილომეტრია, ამაზე გრძელი ხიდი მარტო იაპონიაში მინახავს.

შარშან, მიწისძვრის დროს, სან-ფრანცისკოში ბევრი შენობა დაზიანდა. დაზიანდა თეატრის ულამაზესი შენობაც, ამიტომ სან-ფრანცისკოს ნაცვლად, ჩვენი კონცერტები ქ. ოკლენდში გაიმართა, რომელიც მისგან ოციოდე კილომეტრითაა დაშორებული. ადრე იქ 1906 წელს ყოფილა საშინელი მიწისძვრა, რომელმაც თითქმის მთელი ქალაქი დაანგრია.

ოკლენდში სამი კონცერტი გავმართეთ. იქ ჩამოვიდნენ ქართველები ქ. სანტაროზადან: ბ-ნი შოთა დუმბაძე მეუღლით, ძმები მირიან და ნოშრევან გალაშვილები, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ბოლო შეფიცული ბ-ნი ალექსანდრე სულხანიშვილი. მათთან გვქონდა საინტერესო შეხვედრები, გვიამბეს ბევრი საინტერესო ამბავი, გადავიღეთ სამახსოვრო ფოტოსურათები.

„ვიცი ქაქუცას საქართველოში გადაასვენებთ, მეც მინდა ბოლომდე მისი ერთგული დავრჩე, ამიტომ გთხოვთ ჩემი ბებერი ძვლებიც ქართულ მიწაში ჩაფლათო“ — გვითხრა ალექსანდრემ.

მადლობა ღმერთს ალექსანდრე სულხანიშვილს თხოვნა აუსრულდა. როგორც იცით, იგი საქართველოში გარდაიცვალა და მის მშობლიურ სოფელში დაასაფლავეს.

ოკლენდში ჩვენს კონცერტებს დაესწრო ამერიკელ მომღერალთა ჯგუფი გრიგოლი სალომონის ხელმძღვანელობით, რომლებიც ქართულ სიმღერებს მშვენივრად ასრულებდნენ. ჩვენ მათ გადავეცით საჭირო ფონოჩანაწერები, ვაჩუქეთ ფირფიტების კრებული „100 ქართული ხალხური სიმღერა“. და სათანადო კონსულტაციაც გავუწიეთ.

ზაფხულში ეს გუნდი ჩამოსული იყო თბილისში და ბევრმა თქვენგანმა ალბათ, მოისმინა ქართული სიმღერები მათი შესრულებით. ჩვენს კონცერტს დაესწრო მოცეკვავეთა ჯგუფიც, რომელიც ქართულ ხალხურ ცეკვებს სწავლობენ. მათ მოიწვიეს ჩვენი ქორეოგრაფი ფრიდონ სულაბერიძე, რომელსაც სთხოვეს ცეკვის გაკვეთილის ჩატარება. ფრიდონმა თან წამოიყვანა მუსიკოსებიც და გაკვეთილი ქართული ხალხური მუსიკის თანხლებით ჩაატარა. ფრიდონის ბევრი რეპეტიცია მინახავს, მაგრამ ასე ანთებული იგი არასოდეს ყოფილა, მან ბრწყინვალედ ჩაატარა გაკვეთილი, რითაც აღტაცებაში მოიყვანა ამერიკელი მოცეკვავეები. მათ მადლობა გადაგვიხადეს და საქართველოში ჩამოსვლის დიდი სურვილი გამოთქვეს.

**ანზორ ერქომაიშვილი**

(გაგრძელება იქნება)

დასაწყისი იხ. №№ 51, 52, 53, 54, 55.

# სხვა გაზეთებიდან

### შეაშფოთა წარმოშობამ

როგორც „ვაშინგტონ პოსტი“ იუწყება, ალბათ, ედვარდ ჯერეჯიანი არ დაინიშნება მოსკოვში აშშ-ს ელჩად და გარკვეულ პერიოდში ამ ფუნქციებს კვლავ ჯეკ მეტლოკი შეასრულებს. ფიქრობენ, რომ მისმა სომხურმა წარმოშობამ შეაშფოთა კრემლი.

### კვლავ გადადგომა

„კომსომოლსკაია პრავდას“ ცნობით, გადადგა სომხეთის კომპარტიის ცკ-ის პირველი მდივანი, სკკპ ცკ-ს პოლიტბიუროს წევრი, სტეპან პოგოსიანი; მიზეზი კი გახდა ის, რომ მან რამდენიმე დღის განმავლობაში ვერ მოახერხა თავისი პარტიული „ამხანაგის“, პარტიის ცკ-ს გენერალური მდივნის მ. გორბაჩოვის კაბინეტში შეღწევა.

### „დამსახურებისათვის“

ამავე გაზეთში ვკითხულობთ, რომ იმ „მოღვაწეებმა“, რომლებმაც უშუალოდ მიიღეს მონაწილეობა ვილნიუსში ტელერადიოსა და ტელეანძასთან მშვიდობიანი მოქალაქეების დახვრეტაში, 30 აპრილიდან, ახალ მფლობელთა უფლებით, რეგისტრაციაში გაატარეს ტელერადიოსტუდია „საბჭოთა ლიტვა“. დამფუძნებლებს შორის არიან ლიტვის კომპარტია, ლიტვის სსრ თავისუფალ მეწარმეთა მთიური ასოციაცია, დემოკრატიულ ძალთა კონგრესი — სწორედ ის, რომლის ბაზაზეც თავის დროზე შეიქმნა „ეროვნული ხსნის კომიტეტი“ და ერთ-ერთი სამხედრო ნაწილი (ალბათ, დიდი „დამსახურებისათვის“ — ვილნიუსის ტელერადიოს შენობის წარმატებული შტურმისათვის).

### შეიქმნა რუსეთის ტელევიზია

13 მაისს ცენტრალური ტელევიზიის მეორე პროგრამით რეგულირებული მაუწყებლობა დაიწყო რუსეთის ტელევიზიამ. „მისი მთავარი მცნება სამართლის კვერპის სამსახური იქნება“ — განუცხადა ჟურნალისტებს სრულიად რუსეთის სახელმწიფო ტელერადიოკომპანიის თავმჯდომარემ, რუსეთის სახალხო დეპუტატმა ოლეგ პოპცოვმა („რაბოჩაია ტრიბუნა“ № 94).

### „მწვანეები“ გაიყვნენ

ახლახან 200-მდე წევრმა დატოვა გერმანიის „მწვანეთა“ პარტია. ამ ჯგუფმა, რომელსაც სათავეში ბუნდესტაგის ყოფილი დეპუტატი ოტო დიტფურტი უდგას, ახალი ორგანიზაციის — „ეკოლოგიური მემარცხენეები (ალტერნატიული სია)“ — შექმნა გადაწყვიტა. ჯგუფი რადიკალურადაა განწყობილი და „მწვანეებს“ გარემოს დაცვის საქმის ღალატსა და პოლიტიკით ზედმეტად გატაცებაში სდებს ბრალს („იზვესტია“, № 113).

### ხმარა დროებით თავისუფალია

უკრაინის უზენაესი საბჭოს დეპუტატი ს. ხმარა კვლავ თავისუფალია, ოღონდ... მხოლოდ სასამართლომდე. თუმცა, როგორც მისმა ადვოკატმა განაცხადა, პატიმრობისას გამოცხადებული შიმშილობების შედეგად (ბოლო შიმშილობა ერთ თვეს გრძელდებოდა) ხმარა იმდენად დასუსტდა, რომ იქნებ ვერც კი შეძლოს სასამართლოზე მისვლა („იზვესტია“ № 113).

### „შავი ხვრელი“ მხარს უჭერს რიჟკოვის კანდიდატურას

იმათ შორის, ვინც ერთ-ერთმა პირველმა დაასახელა ნიკოლაი რიჟკოვის კანდიდატურა რსფსრ პრეზიდენტის პოსტზე, პენზისა და რიაზანის ოლქების კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შრომითი კოლექტივები იყვნენ. უკვირს თუ არა ეს თავად რიჟკოვს, რომლის მთელი საქმიანობა, პრინციპში მრეწველობასთან იყო დაკავშირებული? — გაზეთ „სელსკაია ჟიზნ“-ის (№ 94 კორესპონდენტის ამ შეკითხვას რიჟკოვმა ასეთი პასუხი გასცა: „რა თქმა უნდა, მით უფრო, რომ გლეხობასა და რიჟკოვის მთავრობას ყოველთვის რთული და წინააღმდეგობრივი ურთიერთობები ჰქონდათ... იყო დრო, როცა ვფიქრობდი, სოფელი „შავი ხვრელია“, რომელსაც ვერანაირი სახსრებით ვერ ამოქოლავ...

### მიწისძვრა ბურიატიაში

12 მაისს, მოსკოვის დროით, 19 საათსა და 17 წუთზე, ბურიატიაში მოხდა მიწისძვრა, რომლის ეპიცენტრიც ულან-უდედან 130 კილომეტრში, ბაიკალის ტბის სამხრეთით მდებარეობდა. მიწისძვრაში ბიძგები 6-7 ბალის სიძლიერისა იყო. წინასწარი მონაცემებით მსხვერპლი და ნგრევა არ ყოფილა („პრავდა“ № 115).

### პროგნოზი დაზუსტდა

ადრე არსებული პროგნოზის მიხედვით, ჩვენი პლანეტის მოსახლეობას 10 მილიარდიანი ზღვრისათვის 2085 წელს უნდა მიეღწია. გაეროს ახალი გამოანგარიშებებით ამ ზღვარს კაცობრიობა უკვე 2050 წლისათვის მიაღწევს („იზვესტია“ № 113).

### სალმონელა კვლავ აბობოქრდა

ალბათ ბევრს უკვე დაავიწყდა სალმონელეზის ეპიდემია, რომელიც ერთ წელზე მეტია, რაც მედიკოსებმა დამარცხებულად გამოაცხადეს. და აი, მან კვლავ „შეიხედა“ ვილნიუსელთა ბევრ ოჯახში, როგორც ექიმები ამტკიცებენ, ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა ძალზე რთულია. დაავადებულია გასაყიდად გამოტანილი ფრინველის ხორცის ნახევარზე მეტი, არანაკლებია ღორისა და საქონლის ხორცის, კვერცხის დაავადების შემთხვევებიც; ჰიგიენის წესების დაუცველობისათვის უკვე დააჯარიმეს ვაჭრობის ასამდე მუშაკი. მაგრამ იხსნის თუ არა ეს მდგომარეობას, არავინ უწყის. ექიმები აფრთხილებენ მოსახლეობას მკაცრად დაიცვან პროდუქტების შენახვისა და თერმული დამუშავების წესები („პრავდა“ № 115).

### ამერიკა ავლანეთს

აგრძელებს თუ არა ამერიკის შეერთებული შტატები ავღანური ოპოზიციის დახმარებას? — ასეთი შეკითხვა დაუსვეს ჟურნალისტებმა ვირჯინიის შტატში სიტყვით გამოსვლის შემდეგ ამერიკის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშ („პრავდა“ № 115).

„ჩვენ ვაგრძელებთ იმის გაკეთებას, რასაც ვაკეთებდით“, — უპასუხა ჯორჯ ბუშმა, „მაგრამ, — დასძინა მან შემდგომ, — ვისურვებდი სიტუაციის ისე შეცვლას, რომ ჩვენ ამის გაკეთება მომავალში მაინც აღარ დაგვჭირვებოდა“.

### მოიპარეს... მგლის ლეკვები

ნოვოსიბირსკის ზოოპარკის ვოლიერიდან მოიპარეს მგლის სამი ლეკვი. თავისთავად, წერს „ტორგოვაია გაზეტა“ (№ 85) ეს დიდი დანაკარგია ზოოპარკისათვის, რადგან თვით სახელმწიფო ფასებითაც კი თითოეული მგლის ლეკვი თითქმის 10000 მანეთი ღირს. მაგრამ ამას კიდევ ერთი დამამძიმებელი გარემოებაც ემატება— არ არსებობს არავითარი გარანტია, რომ გამტაცებლებმა ლეკვები „ჯიშიან ოთხფეხა მეგობრად“ არ „მიასაღეს“ რომელიმე მემნდობ მყიდველს.

### პრემია... რაინდებს

ახლახან „გზების რაინდის“ საპატიო წოდება და მოწმობა მიიღო ლიტვის ქალაქ კრეტინგის ორმა მაცხოვრებელმა, რომლებმაც საგზაო შემთხვევის შედეგად მელიორაციულ არხში გადავარდნილ „ჟიგულიდან“ ორი ბავშვი გამოიხსნეს. „გზების რაინდის“ საპატიო წოდება, რესპუბლიკის საგზაო პოლიციის სამმართველოსა და ერთ-ერთი საქველმოქმედო ფონდის გადაწყვეტილებით, მიენიჭება ყველას, ვინც იხსნის ავტოავარიაში მოხვედრილ ადამიანების სიცოცხლეს („პრავდა“ № 115).

### მილიონერის უცხელა სიკეთე

სამხრეთამერიკელმა მილიონერმა უმ ჰენინგ ფონ ასვიხენმა დაქორწინება გადაწყვიტა. მართალია, ის ეთანხმება პოტენციურ საცოლეებს, რომ დაქორწინებამდე სერიოზული ფიქრია საჭირო, მაგრამ მაინც ურჩევს მათ აჩქარებას, რადგან მილიონერი უკვე... 87 წლისაა.

ასვიხენის მიზანია ისეთ ქალზე დაქორწინება, რომელიც მას მემკვიდრეს გაუჩენს. მომავალ ცოლს, ყველა სხვა სიკეთესთან ერთად, მილიონერი მეუღლე პრემიასაც ჰპირდება... კერძოდ, ყოველი მისგან გაჩენილი ბიჭისათვის — მილიონს, ხოლო გოგონასათვის — ნახევარ მილიონ რანდს.

# საერთაშორისო ქრონიკა

ბალტიისპირეთის რესპუბლიკების ლიდერები განაგრძობენ აქტიურ დიპლომატიურ ვიზიტებს დასავლეთში უფრო ფართო მხარდაჭერის მოპოვების მიზნით. ლატვიის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ა. გორბუნოვი პარიზს გაემგზავრა, სადაც შეხვდება საფრანგეთის პრეზიდენტს ფ. მიტერანს. როგორც ლატვიის პარლამენტის წარმომადგენელმა თქვა, ა. გორბუნოვი და საგარეო საქმეთა მინისტრი ი. იურკანსი შეეცდებიან დაარწმუნონ საფრანგეთის მთავრობა, დაიწყოს პირდაპირი დიალოგი ლატვიასთან და გააფართოვოს მასთან ეკონომიკური თანამშრომლობა, რამდენადაც ლატვიისათვის გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ეკონომიკური კონტაქტები, ვიდრე პირდაპირი დახმარების გაწევა.

●

იუგოსლავიაში მოსალოდნელია ახალი კონსტიტუციური კრიზისი პრეზიდიუმის თავმჯდომარის არჩევასთან დაკავშირებით. საქმე ის გახლავთ, რომ თანამიმდევრობის წესის თანახმად, წარმოშობით სერბი ბ. იოვიჩი, რომლის უფლებამოსილების ვადა გუშინ დასრულდა, უნდა შეცვალოს ხორვატმა ს. მესიჩმა. ეს იქნება პირველი არაკომუნისტი პრეზიდიუმის თავმჯდომარე იუგოსლავიის ომისშემდგომ ისტორიაში, პრეზიდიუმის 8 წევრიდან მის არჩევას ხმა უნდა მისცეს არანაკლებ 5-მა. ვარაუდობენ, რომ სერბიისა და ჩერნოგორიის წარმომადგენლები ხმას მისცემენ მისი არჩევის წინააღმდეგ. გუშინ ს. მესიჩმა კორესპონდენტებთან საუბარში განაცხადა, რომ თუ მას არ აირჩევენ, ხორვატია გამოვა იუგოსლავიის შემადგენლობიდან.

შეგახსენებთ, რომ იუგოსლავიის რესპუბლიკებს განსხვავებული შეხედულებები აქვთ ქვეყნის მომავალი კონსტიტუციური წყობის თაობაზე. ხორვატია და სლოვენია, რომლებსაც არაკომუნისტები მართავენ, მოითხოვენ იუგოსლავიის გადაქცევას თავისუფალი სახელმწიფოს კონფედერაციად, ხოლო კომუნისტური სერბია მხარს უჭერს ერთიანი უნიტარული სახელმწიფოს შენარჩუნებას.

●

უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა ი. ანტალმა უპასუხა გასულ თვეში მიღებულ პრეზიდენტ მ. გორბაჩოვის წერილს. მასში ასახულია უნგრეთის პოზიცია საბჭოთა კავშირთან ახალი ორმხრივი შეთანხმების ხელმოწერის თაობაზე. საბჭოთა მთავრობის მიერ წამოყენებული პირობის თანახმად, არცერთი მხარე არ უნდა შევიდეს ისეთ კავშირში, რომელიც ეწინააღმდეგება მეორე მხარის ინტერესებს, ანუ მოსკოვს სურს, შეინარჩუნოს გავლენა ყოფილი „სოციალისტური ბანაკის“ ქვეყნებზე და არ დაუშვას მათი შესვლა ნატოში. უნგრეთის მთავრობამ უარი თქვა ამ მოთხოვნაზე. ჩეხოსლოვაკიამ და პოლონეთმა ასევე უარყვეს ანალოგიური საბჭოთა წინადადება.

●

გადაწყდა, რომ პოლონეთი წარმოადგენს აშშ დიპლომატიურ ინტერესებს ერაყში. ამის შესახებ განაცხადა სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა რ. ბაუჩერმა. როგორც იცით, ერაყმა გაწყვიტა ურთიერთობა შეერთებულ შტატებთან მიმდინარე წლის დასაწყისში. მას შემდეგ პრეზიდენტმა ჯ. ბუშმა არაერთხელ განაცხადა, რომ სანამ სადამ ჰუსეინი ხელისუფლების სათავეშია, ნორმალური დიპლომატიური კონტაქტები ერაყთან გამორიცხულია. ერაყის დიპლომატიურ ინტერესებს შეერთებულ შტატებში წარმოადგენს ალჟირი.

**ირინა თევდორაშვილი**

# ნორჩთა საინტერესო კონცერტები

ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც არსებობს საქვეყნოდ ცნობილი— ზაქარია ფალიაშვილის სახელობის საშუალო სპეციალური სამუსიკო სკოლა (დირექტორი —პროფესორი გივი ხატიაშვილი). 1990 წელს კონცერტების ბრწყინვალე ჩატარებით სკოლის პედაგოგიურმა კოლექტივმა საზეიმოდ აღნიშნა მუსიკოსთა ამ დიდებული სამჭედლოს 50 წლისთავი, სამჭედლოსი, რომლის კედლებში აღიზარდა მართლაც რომ მსოფლიო მასშტაბის არაერთი მუსიკოსშემსრულებელი... და რაოდენ სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ნიჭიერ მოსწავლეთა მაღალპროფესიულად აღზრდისა და მათი მუსიკალური მონაცემების სრულად გამოვლენის ეს შესანიშნავი ტრადიცია ამ სკოლაში დღესაც გრძელდება.

ამის ნათელი დადასტურება იყო სკოლის მოსწავლეთა ის ორი საანგარიშო კონცერტი, რომელიც ამას წინათ ჩატარდა თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში. მასში მონაწილეობას იღებდნენ სკოლის საფორტეპიანო განყოფილების, საორკესტრო განყოფილების —სიმებიანი და ჩასაბერ საკრავთა ჯგუფის მოსწავლეები, მოსწავლეთა გუნდი, ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი, სკოლის სიმებიან საკრავთა კამერული და ჩასაბერ საკრავთა ორკესტრი.

ამ წარმატებას ორი მიზეზი აქვს. ეს გახლავთ სცენაზე მუსიკოსის გამარჯვების ორი განუყოფელი ფაქტორი: მკაფიო მუსიკალური ნიჭი და შრომისმოყვარეობა, რომლითაც ხასიათდება ესა თუ ის გამორჩეული მოსწავლე.

პირველი კონცერტის პირველ განყოფილებაში, III კლასის მევიოლინე გოგონამ მარიკა კვეტენაძემ (პროფ. კონსტანტინე ვარდელის კლასი) შეასრულა კომპოზიტორ შარლ დანკლას „ვარიაციები“ ვიოლინოსათვის ფორტეპიანოს თანხლებით. მე-19 საუკუნის ფრანგი კომპოზიტორისა და მევიოლინეს ეს წმინდა ინსტრუმენტული თხზულება თითქმის ყველა მოსწავლე-მევიოლინეს რეპერტუარში შედის, რაც მოითხოვს მის არატრაფარეტულ შესრულებას. მოსწავლე გოგონამ ნაწარმოები მიმზიდველად და მუსიკალურად შეასრულა.



VI კლასის მოსწავლე-პიანისტის მარინე ნადირაძის (პედ. ვეკა სვანიძის კლასი) საშემსრულებლო ოსტატობა წლითიწლობით ცხოველ ინტერესს იწვევს მსმენელში, ეს განაპირობა პედაგოგის მიერ გოგონას ტალანტის სათანადოდ შეფასებამ. მარინე ვილნიუსის ნორჩ მუსიკოს-შემსრულებელთა საერთაშორისო კონკურსის I პრემიის ლაურეატია. სიტყვა „ოსტატობა“ შემთხვევით არ მიხმარია. სინატიფე და ბრწყინვალების ელფერი დაჰკრავდა მოსწავლის მიერ დომენიკო სკარლატის № 1, 2, 50 სონატებისა და რევაზ ლაღიძის „რონდო-ტოკატას“ შესრულებას.

მევიოლინე ლიზიკო ბათიაშვილე VI კლასის მოსწავლეა (პროფ. თამაზ ბათიაშვილის კლასი). მის მიერ შესრულებულმა ანტონიო ვივალდის „ინტერმეცოსა“ და განსაკუთრებით სავიოლინო მუსიკის შედევრის — ჰენრიკ ვენიავსკის „სკერცო-ტარანტელას“ შესრულებამ დაგვარწმუნა, რომ რთული ნაწარმოებების ასეთი ინტონაციური სიზუსტით და ხალასი ბუნებრივი მუსიკალურობით შესრულება დღეს მხოლოდ განსაკუთრებული მონაცემების მოსწავლეებს ძალუძთ. ლიზიკო ბათიაშვილიც ვილნიუსის ნორჩ მუსიკოს-შემსრულებელთა საერთაშორისო კონკურსის I პრემიის ლაურეატია.

როდესაც გენიალური რობერტ შუმანის № 8 „ნოველეტი“ მოვისმინეთ IX კლასის მოსწავლის თამარ ქურდაძის (პედ. ცირა ცირეკიძის კლასი) შესრულებით, ყურადღება მიიპყრო რომანტიული მუსიკისათვის დამახასიათებელმა ფაქტორებმა.

სკოლაში ფლეიტის კლასის ერთ-ერთ მოწინავე პედაგოგად გვევლინება დოცენტი ნუგზარ ციკნაძე. რომლის X კლასის მოსწავლემ რუსუდან თავაძემ კონცერტზე შეასრულა კომპოზიტორ ნოდარ გაბუნიას „მიძღვნა და იოჰან სებასტიან ბახის „სკერცო“ სიმფონიური სუიტიდან. ნაწარმოებების აღქმას ამშვენებდა ფლეიტის მსუყე ბგერა და შესრულების მაღალი აკადემიურობა.

მსმენელს უდავო სიხარული და ჭეშმარიტი სიამოვნება მოჰგვარა ორი მერვე კლასელი მოსწავლის — ვალერიან შიუკაშვილისა (პედ. დარეჯან ცინცაძის კლასი) და ნინო გურევიჩის (პროფ. ედიშერ რუსიაშვილის კლასი) პიანისტურმა საშემსრულებლო ხელოვნებამ. მოსწავლეებმა შეასრულეს ფერენც ლისტის „ტარანტელა“ და ფრედერიკ შოპენის „ანდანტე სპიანატო და დიდი ბრწყინვალე პოლონეზი“.

კონცერტის მეორე განყოფილება დაეთმო საგუნდო მუსიკას.

გოგონათა ანსამბლმა (ხელმძღვანელი ნანა მირცხულავა) შეასრულა სამი ქართული ხალხური სიმღერა: „წმინდაო ღმერთო“, „წინწყარო“ (სოლისტი ანა ბაჯიაშვილი), „შენ ხარ ვენახი“, ვაჟთა ფოლკლორულ ანსამბლ „ნუკრის“ (ხელმძღვანელი ბორის ძნელაძე) შესრულებით მოისმინეს ასევე სამი ხალხური სიმღერა: „სვანური საფერხულო“, „ცელო, მოუსვი ბალახსა“, „ცხენოსნური“. მოსწავლეთა მიერ ქართული ფოლკლორის ამ დიდებული ქმნილებების შესრულებამ სიამაყის გრძნობა მოჰგვარა მსმენელს.

კონცერტის დამაგვირგვინებელი იყო ვოლფგანგ ამადეი მოცარტის კანტატას შესრულება მოსწავლეთა გუნდის (ხელმძღვანელი ნანა მირცხულავა) და ასოციაცია „ზვართან“ არსებული თბილისის კამერული ორკესტრის (სამხატვრო ხელმძღვანელი და დირიჟორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ვადიმ შუბლაძე) მიერ.

მეორე საჩვენებელ კონცერტზე უმთავრესად შესრულდა ქართველ, აგრეთვე დასავლეთ ევროპის კომპოზიტორთა საფორტეპიანო და ინსტრუმენტული ნაწარმოებები.

პიანისტებმა: ეკა შამანაურმა — IV კლასი (პედ. მარინე გელაშვილის კლასი), თამარ კორძაძემ — V კლ. (პედ. დარეჯან ცინცაძის კლასი), ნათია ქავთარაძემ — V კლასი (პედ. დარეჯან ცინცაძე), წინადღით გამართულ კონცერტში მონაწილე ვალერიან შიუკაშვილმა — VIII კლ. (პედ. დარეჯან ცინცაძე), სოფიო შილაკაძემ —I) კლ. (პედ. ლალი სანიკიძე), თამარ სანიკიძემ — IX კლ. (პედ. ლალი რჩეულიშვილი) და ქეთევან ქათამაძემ — X კლ. (პედ. მარინე ხვიტია) შეასრულეს ქართველ ავტორთა უკვე პოპულარული და შედარებით ახალი თხზულებები. ესენია: შალვა მშველიძის, შოთა მილორავას, ნოდარ გაბუნიას, სულხან ცინცაძის, რევაზ ლაღიძის, მერი დავითაშვილისა და გიორგი შავერზაშვილის საფორტეპიანო პიესები, აგრეთვე დომენიკო სკარლატის სამი საფორტეპიანო სონატა და ფრედერიკ შოპენის სი-მინორული სკერცო № 2.

მეთერთმეტე კლასელმა ქეთევან ქათამაძემ მაღალი გემოვნებითა და შოპენის მუსიკისათვის დამახასიათებელი აღმაფრენით შეასრულა დიდი პოლონელის ერთ-ერთი შედევრი — სი მინორული სკერცო № 2.

ამავე კონცერტზე შესრულდა შვიდი ნომერი ინსტრუმენტული პიესებისა: სულხან ცინცაძის „ხორუმი“ ვიოლინოსათვის, შემსრულებელი ნინო დუდაური, VI კლ (პედ. ვიქტორია ვოსკანოვა), ანტონიო ვივალდის კონცერტი ფაგოტისათვის, შემსრულებელი დავით მაღრაძე, VIII კლ. (პედ. გიორგი ქსოვრელი), სულხან ცინცაძის მელოდია ვიოლინოსათვის შემსრულებელი ნატალია ხელაშვილი, VIII კლ. (პედ. თემურაზ ფერაძე), მერაბ მერაბიშვილის ვარიაციები ვალტორნისათვის, შემსრულებელი ლუკა ჰეჰიაძე, IV კლ. (პედ. ბორის მუქერია), კამილ სენ-სანსის „ბოლერო“, შემსრულებელი — კახა ჯაგაშვილი, IX კლასი და ლევან ვეშაპიძე, XI კლასი (პედაგოგი ვალენტინ მარკელიას ანსამბლის კლასი), ალექსი მაჭავარიანის „ცისა ფერს“ და იოჰან სებასტიან ბახის „სკერცო“ ფლეიტისათვის, შემსრულებელი ნატო ხმიადაშვილი, IX კლასი (დოცენტ ნუგზარ ციკნაძის კლასი), ალექსი მაჭავარიანის კონცერტი ვიოლინოსათვის —II ნაწილი, შემსრულებელი ლევან ფალავა, X კლასი, (პროფესორ ლეო შიუკაშვილის კლასი).



კონცერტის ბოლოს სკ. სიმებიან საკრავთა კამერ. ორკესტრმა (ხელმძღვანელი დოცენტი ოთარ საფარიშვილი) და ჩასაბერ საკრავთა ორკესტ. (ხელმძღვანელი — იური კასაროვი) შეასრულეს ქართველ, რუს და დასავლეთ ევროპელ ავტორთ ნაწარმოებები.

ორივე კონცერტის მონაწილე მოსწავლე ინსტრუმენტალისტებს სანიმუშო თანხლება გაუწიეს კონცერტმეისტერებმა: ნინო ფავლენიშვილმა, ნანა ლესელიძემ, რევაზ თავაძემ, ლალი ქელბაქიანმა, თინათინ უჩანეიშვილმა, მანანა გიორგაძემ, მზექალა ბერძენიშვილმა.

...და რაოდენ სამარცხვინოა იმის თქმა, რომ წლების განმავლობაში ასეთი მაღალი რანგის მუსიკალური სასწავლებლისათვის ვერ გამოინახა საჭირო სახსრები, რათა აიგოს შესაფერისი შენობა ხელოვნების ასეთ ოსტატთა აღსაზრდელად

**ალეკო შანიძე,**
**კომპოზიტორი.**

ავტორის თხოვნით ჰონორარი გადაირიცხება მიწისძვრით დაზარალებული რაიონების დახმარების ფონდში.

**სურათებზე:** მეექვსეკლასელი ლიზიკო ბათიაშვილი (პედ. თამაზ ბათიაშვილი) და მეექვსეკლასელი მარინე ნადირაძე (პედ. ვეკა სვანიძე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ...და არამარტო ჭიდაობაზე



**მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს, ტოკიოს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორს, საბჭოთა კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს თავისუფალ ჭიდაობაში ბატონ გურამ სალარაძეს ჩვენი გაზეთის მკითხველთან წარდგენა არ სჭირდება. ბატონი გურამი „ახალგაზრდა ივერიელის“ ხშირი სტუმარია და ისევე როგორც ადრე, დღესაც ჩვენი საუბარი მარტო ჭიდაობით არ ამოიწურება. სხვაგვარად გურამ სალარაძეს არც შეუძლია — სამწვრთნელო მოღვაწეობასთან ერთად ის ხომ ყოველთვის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ფერხულშია ჩაბმული. თუმცა, სჯობს, მივყვეთ თანმიმდევრობით და ბატონ გურამს მოვუსმინოთ:**

— პირუთვნელად შეიძლება ითქვას, რომ დღესდღეობით საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრების შემადგენლობა საკმაოდ სტაბილური გახდა. ამ ნაკრებს თავისუფლად შეუძლია კიდეც მსოფლიო დონის შეჯიბრებებში, სამეულშიც კი მოხვდეს. თუმცა, მაინც გვაქვს გარკვეული ვაკუუმი — ძალიან გვიჭირს დაბალ წონით კატეგორიებში. არადა, ამ წონაში ადრე ხომ განუმეორებელი მირიან ცალქალამანიძე გვყავდა, შემდეგ ზაურ შეყრილაძე, მას შემდეგ კი ამდენი ხანი არავინ ჩანს...

**— გამოსავალს თუ ხედავთ რამეში?**

— გამოსავალი ისევ და ისევ ნიჭიერი ბავშვების მოძებნაა. გორში, კახეთში და თითქმის ყველა რეგიონში გვყავს ნიჭიერი მწვრთნელები, რომლებიც გაფრთხილებული არიან ამ წონებში პერსპექტიული კადრების შერჩევაში. ამჟამადაც გვყავს რამდენიმე ახალგაზრდა მოჭიდავე ამ წონით კატეგორიებში, მაგრამ დღეს თუ 48 კგ-ს იწონის, ერთი წლის შემდეგ უკვე 62 კგ-მდე ხდება. თანაც, ახალგაზრდა ბავშვისათვის წონის ხელოვნურად დაჭერა ძნელიცაა. მაგრამ ეს არ არის პრობლემა — მთავარია 5-6 წონაში ვიყოთ ძლიერები (ეს ასედაც არის) და საქართველოს ნაკრების ძალას ბევრი მეტოქე მეტად მტკივნეულად გამოცდის კიდეც საკუთარ თავზე. კიდევ ვიმეორებ, რომ საქართველოს ნაკრებში საკმაოდ ნორმალური, კეთილი და ბრძოლისუნარიანი განწყობილებაა. ყოველივე ამაში კი, პირველ რიგში, ალბათ, ნაკრების მთავარი მწვრთნელის ვლადიმერ მესტვირიშვილის დამსახურებაა — მშრომელი, ნიჭიერი და კარგი ორგანიზატორული თვისებებით დაჯილდოებული კაცისა.

**— ასეთი ოპტიმიზმის საბაბს, ალბათ, დღევანდელი ჩვენი აღიარებული ლიდერების — ლერი ხაბელოვისა და დავით გობეჯიშვილის ტალანტიც იძლევა...**

— რასაკვირველია, ორივე მათგანი დიდი მოჭიდავეები არიან. მაგალითად, საბჭოთა კავშირის ნაკრების დაკომპლექტებისას თუ ქართველი ერთი თავით მაღლა არ იდგა სხვაზე, უკვე დაჩაგრული იყო. სიტუაცია ახალი არ არის არა მარტო ჩვენს სახეობაში და არა მარტო დღევანდელ დღეს; ასე იყო ჩემს დროსაც, იმაზე ადრეც და მხოლოდ მაშინ „ველარ ილებდნენ ხმას“, როცა სტაბილურად, წლების მანძილზე უგებ უშუალო მეტოქეებს და აჩვენებ მაღალ შედეგებს. იგივე ხაბელოვიც და გობეჯიშვილიც სწორედ ასე გახდნენ ნაკრების ლიდერები.

**— ე. ი. ამ შემთხვევაში, როგორც იტყვიან, ნაკრების მესვეურთ სხვა გზა არა ჰქონდათ.**

— რა თქმა უნდა. თანაც, ორივე — ლერიც და დათოც ივან იარიგინის იმედები იყვნენ ბარსელონის ოლიმპიური თამაშებისთვის.

**— ბატონო გურამ, თქვენ საბჭოთა კავშირის ნაკრების მწვრთნელი ივან იარიგინიახსენეთ და იქნებ ქართველი სპორტსმენების მიმართ მის დამოკიდებულებაზეც გვითხრათ ორიოდე სიტყვა.**

— ივან იარიგინი თავის დროზე დიდი მოჭიდავე იყო და ჭიდაობის ფასიც იცის... თანაც, სამართლიანი იყო კიდევაც, როცა ჩვენს ბიჭებზე ამახვილებდა ძირითად ყურადღებას. თავისი ხასიათითა და დამოკიდებულებით ის ყველანაირად მაღლა დგას თავის წინამორბედზე — იური შახმურადოვზე, რომელიც ყოველთვის ოსებისა და დაღესტნელების გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ამ უკანასკნელმა ადრე მეც მატკინა გული თავისი უტაქტობითა და უსამართლობით. როცა ის ნაკრების სათავეში იდგა, მხოლოდ ლევან თედიაშვილის „ჩრდილში დაყენებას“ ვერ ბედავდა. ამის მიზეზს კი, ალბათ, ახსნა არც სჭირდება — იმდენად ფენომენალური მონაცემების მქონე მოჭიდავე იყო ლევანი...

**— ბატონო გურამ, თქვენს უშუალო შეგირდზე დავით გობეჯიშვილზე თუ შეიძლება დაწვრილებით ვუამბოთ ჭიდაობის მოყვარულთ...**

— დათო? ეს ხომ საოცარი მოჭიდავეა, დინჯია (რაჭული ხასიათი სჭარბობს, ალბათ), ადვილად უღებს ალღოს მოვლენებს, შეუძლია ნებისმიერი წინააღმდეგობების გადალახვა, რჩევა-დარიგებებს ყურადღებით იღებს, თან — განწყობილებისაა. თუ გადაწყვიტა რომელიმე შეჯიბრებაში წარმატებით გამოსვლა — აუცილებლად გაიმარჯვებს. დათო ჯერ 27 წლისაა და, ვფიქრობ, რომ სამი წელი კიდევ თავისუფლად შეუძლია წარმატებით იჭიდაოს. წონის დაკლებაზე არ ფიქრობს (თავისუფლად ჭამს), დატვირთვებიც სხვები რომ სამჯერ იღებენ დღეში, მას ერთხელ სრულიად საკმარისად ჰყოფნის. თან ერთი კარგი თვისებაც აქვს — ვარჯიშების ციკლს ხანდახან შეწყვეტს ხოლმე და თავისთავს ამოსუნთქვის საშუალებას აძლევს. მაგრამ ეს ორკვირიანი „შესვენება“ აქტიური ფორმით გამოიხატება — ფეხბურთს თამაშობს, ცურავს, მშობლიურ რაჭაში ადის, წაინადირებს ცოტა და შემდეგ ისევ ვარჯიშს იწყებს.

**— და ეს ყველაფერი ამართლებს, ხომ?**

— როგორც ხედავთ, ამართლებს. მაგრამ, ყველა სპორტსმენისათვის ასეთი ციკლი, რა თქმა უნდა, არც შეიძლება. პირფერობაში არ ჩამითვალოთ, მაგრამ ყოველივე ეს მე დათოში „დავიჭირე“, ისიც ამყვა და, როგორც ხედავთ, სარგებლობაც მოაქვს.

**— ბატონო გურამ, ერთი შეკითხვა მაქვს, რომელიც, ალბათ, ჭიდაობის ბევრ მოყვარულსაც აინტერესებს. კარგად მოგეხსენებათ, რომ საკავშირო ნაკრების შემადგენლობაში არაერთი ოსი ეროვნების მოჭიდავე გამოდიოდა ქართველების მხარდამხარ. ასევეა ჩვენთანაც, საქართველოს ნაკრებში, სადაც არიან ოსი ეროვნების წარმომადგენლები...**

— გასაგებია, შეგიძლიათ კითხვა არ დაამთავროთ. ამის თაობაზე მე მინდა დავით გობეჯიშვილის სიტყვები მოვიყვანო, რომ თუ მას ვინმე უახლოესი მეგობარი ჰყავს, ეს ვლადიკავკაზელი არსენ ფაძაევია... ყველა მოგზაურობაში ერთ ოთახში ცხოვრობენ, ერთმანეთის ჭირისა და ლხინის გამზიარებლები არიან. არ მინდა, რომ ოსი და ქართველი ხალხის ასეთი შეცდომითი კონფლიქტი (სადაც მესამე პირია ჩარეული), კიდევ გაგრძელდეს. არა, მე ეჭვიც არ მეპარება, რომ ეს ის მესამე ძალაა, რომელსაც საქართველოს თავისუფლება არ უნდა და ათასნაირი საზიზღარი მეთოდებითა და ფორმებით ცდილობს ერთმანეთს გადაჰკიდოს ხალხი, ამდენი სისხლისღვრა გამოიწვიოს. მაგრამ, მე თუ ადამიანი მიყვარს, ვგრძნობ, რომ ის ჩემი ერთგულია, მას ოსობის გამო ხომ ვერ შევიძულებ? ან მან ქართველობის გამო? მყავდა ერთი ჩრდილოსელი მეგობარი — ელკან თედეევი, ზღაპრული მოჭიდავე და შესანიშნავი პიროვნება იყო. ის არ არჩევდა — ქართველი ხარ, ოსი, სომეხი... თუ კაცი ხარ, მორჩა და გათავდა. ასეთივეა დათოს და არსენ ფაძაევის დამოკიდებულებაც ერთმანეთის მიმართ. ასე რომ, ნაკრებში ამ მხრივ საკმაოდ ნორმალური და მშვიდი სიტუაცია იყო. იგივეა ჩვენთანაც — ბიჭები, რომ იტყვიან, სულში იძვრებიან ერთმანეთის და ძალიან განიცდიან ყოველივე მომხდარს. ლერი ხაბელოვიც, მერაბ ვალიევიც, გოჩა მაკოევიც — ყველა ჩვენი წამყვანი მოჭიდავეები არიან და წუხან — რა მოხდა, ვერ გაუგიათ. ასევე ვართ ჩვენც...ერთი ვიცი ნამდვილად — ყველა გზა კრემლში და, პირადად, გორბაჩოვთან მიდის...

**— კარგით, ბატონო გურამ, მაგრამ ქართველი ქართველს რალას ერჩის?**

— ეს ისეთი საკითხია, რომ ცოტა შორიდან მინდა მოვუარო. აი, სათავეში ხალხის რჩეული დგას — მოდით, დავუჭიროთ ყველამ მხარი, ამოვუდგეთ გვერდში. შესანიშნავ ოჯახში აღზრდილი, მთელი ცხოვრება ეროვნულ მოძრაობას შეალია, მოვიდა ხომ — დავირაზმოთ, ერთ მუშტად შევიკრათ. არ შეიძლება? თორემ, რა ხდება — მუშა მუშას აღარ ჰგავს, სტუდენტი — სტუდენტს, გლეხი — გლეხს, ამდენი უმუშევარი ქუჩაში... კრემლს კიდევ ყველაფერი უხარია — ხითხითებენ ეგ ურჯულოები, ალბათ. 9 აპრილს ხომ სულ ქართველები დაიხოცნენ, არც ერთი სხვა ერის არ იყო... მოვიდნენ ის მგლები და გადაგვიარეს... ეს ისეთი მგლები არიან, თავიანთ დედებსა და დებს ყელებს რომ გამოსჭრიან. არა, გონებას უნდა მოვუხმოთ, თორემ დავიღუპებით. ამდენი იარაღია ახალგაზრდების ხელში, ირგვლივ ძარცვა-გლეჯაა, ყაჩაღობაა, მკვლელობაა, ეს ნარკომანია ხომ საერთოდაა მოდებული. მაგრამ, ყველაფერ აქამდე, ვთვლი, რომ კომუნისტურმა მოძრაობამ მიგვიყვანა. ეს ისეთი მოძრაობა იყო, სადაც ახალმოსული თავის წინამორბედს წიხლს ჰკრავდა, სპობდა და ანადგურებდა. 70 წელი გვატყუებდნენ — ფიქრობდნენ ერთს, ამბობდნენ მეორეს და აკეთებდნენ მესამეს. აი, ასეთ ტყუილებში აღვიზარდეთ და აქამდეც მოვედით. ქართველი ქართველს რისთვისღა კლავს — პირველობისათვის? ჩემპიონობისათვის? არის მაგის სარბიელიც... მაგრამ არაფრის ეშინიათ; ის კი არია, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ქართველის მიერ ქართველის მოკვლისათვის ერიდან მოკვეთა ბრძანა — რა გამოვიდა? გულთან ახლოს არ მიუტანიათ... ბიბლიაში არავინ იყურება, ეკლესიაშიც ვალის მოხდის მიზნით დადიან და ყველაზე საშინელება ის არის, რომ რაღაცნაირი სინდრომი აქვთ ამ ახალგაზრდებს — დაუსჯელობისა და განუკითხაობისა. როგორ შეიძლება, ქურთუკის გულისთვის კაცს ყური მოაჭრან და სადისტურად მოკლან?

**— გეთანხმებით, ბატონო გურამ, რომ ამ დაუსჯელობით და განუკითხაობით მართლაც საშინელი სიტუაციის წინაშე ვდგევართ, არც არანაირი გამკაცრებული კანონების არ ეშინიათ...**

— ძალიან სასიამოვნოა, რომ ჩვენი აზრები ემთხვევა... მერე, კიდევ ერთი პრობლემა მაწუხებს, რომლის ართქმაც არ შემიძლია. იცით, თბილისს ძალიან უჭირს, ქალაქი გაივსო, სოფელში აღარავინ დარჩა, ყველაფერს ხომ თავისი საზომი აქვს, ცალკე ეკოლოგიაც შველას ითხოვს. ის თბილისი მომენატრა, 60-70-იან წლებში რომ იყო, გურამ რჩეულიშვილისა და ნოდარ დუმბაძის თბილისი...

**— პრობლემას პრობლემა მოსდევს, მაგრამ გამოსავალს რაში ხედავთ?**

— სპორტში! დიახ, სპორტში და ფიზკულტურაში. შეიძლება ზოგიერთი ძალზე სკეპტიკურად შეხვდეს ყოველივე ამას, მაგრამ გერმანიამ ხომ სპორტით გადაარჩინა თავი. საბავშვო ბაღიდანვე უნდა შემოვიღოთ ფიზკულტურის გაკვეთილები (ოღონდ, ნამდვილი და არა ფორმალური), უნდა გამოვუმუშაოთ დისციპლინის, პუნქტუალობისა და წესრიგისადმი დამოკიდებულება და ასე, ჩამოყალიბდება ადამიანი. მაგრამ ჩვენთან რა ხდება — სკოლაა თუ უმაღლესი სასწავლებელი, ყველგან ფიზკულტურის გაკვეთილებს, ფაქტობრივად, ფორმალური ხასიათი აქვს.

**— იგივე შეიძლება ითქვას მთლიანად მასობრივ სპორტზეც, რომელიც, ჩვენთან, გულახდილად რომ ვთქვათ, საერთოდ არ არსებობს.**

— არ არის, არა. აბა, დათვალეთ — რამდენი საცურაო აუზი თუ მარტივი ტიპის სპორტული მოედნები გვაქვს თბილისში? აღარაფერს ვამბობ სპორტულ-გამაჯანსაღებელ კომპლექსებზე, თავისი სარეაბილიტაციო ცენტრებით და ყოველგვარი მოსახერხებელი პირობებით. და ეს ხდება სად — საქართველოში? სადაც სპორტის ნებისმიერ სახეობაში ამდენი მაღალი რანგის ჩემპიონი გვყავს? კი, ბატონო, ნიჭიერი ხალხი ვართ ეს ქართველები, მაგრამ ამ ნიჭით და ცარიელი ენთუზიაზმით დიდხანს ვერ გავიტანთ; აუცილებლად, ყველანაირად უნდა ვიზრუნოთ საქართველოში მასობრივი სპორტისა და ფიზკულტურის განვითარებისათვის.

**— ბატონო გურამ, ამ საქმეში მე დიდი იმედი მაქვს ახლად ჩამოყალიბებული სპორტის დეპარტამენტისა და, პირადად, მისი თავკაცის, კახი ასათიანისა, რომელიც თავისი ენერგიითა და საქმისადმი პროფესიონალური მიდგომით, ალბათ, ბევრ რამეს გამოასწორებს.**

— ნამდვილად ბევრ სიკეთეს ველოდებით ბატონი კახისაგან და მოხარული ვარ, რომ ასეთი პიროვნება უდგას ქართულ სპორტს სათავეში.

**— ბატონო გურამ, ხანამ ჩვენს საუბარს დავამთავრებდეთ, იქნებ ახლად ჩამოყალიბებულ ეროვნულ გვარდიაზეც გვითხრათ რამდენიმე სიტყვა?**

— ეს დიდი და აუცილებელი საქმე გაკეთდა, თანდათან შეივსება, ჩამოყალიბდება და ჩვენი დამცველი ძირითადი რგოლი გახდება. აი, ჩემი სიძეც — ნიკუშა ივანიშვილი ეროვნული გვარდიის წევრია. ასევე სურვილი აქვს გვარდიაში გაწევრიანებისათვის ჩემს ბიჭსაც, მაგრამ ასაკი არ უწყობს ხელს... იქაც, გვარდიაში, ფიზკულტურას და სპორტს ერთ-ერთი წამყვანი როლი უნდა დაეკისროს (თუ უპირველესი არა). აბა, ვის რაში სჭირდება სამშობლოს ისეთი დამცველი — ფიზიკურად სუსტი თუ ცქნება და თავდაცვის საშუალებები არ ეცოდინება. ალბათ, შეიქმნება კიდევაც სპეციალიზებული კათედრები და თუ ჩვენც — ყოფილ სპორტსმენებს და მწვრთნელებს დაგვიძახებენ, სიამოვნებით ჩავდგებით მათ სამსახურში. სხვანაირად მე ვერც წარმომიდგენია — ყოველთვის უნდა ვიდგეთ იქ, სადაც ჩვენს ერსა და ჩვენს სამშობლოს სჭირდება.

ესაუბრა
**გია ტუხაშვილი**



# ვერაგული ტყვიის მსხვერპლი

ტკივილი, რომელიც 9 მაისს შენმა მეგობრებმა განვიცადეთ, დიდხანს გაგვყვება. კიდევ ერთი ახალგაზრდა სიცოცხლე გამოაკლდა ქართველ მილიციელთა რიგებს, არაკაცის ვერაგულად გასროლილმა ტყვიამ გული განუგმირა თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს საპატრულო-საგუშაგო სამსახურის ქართული მილიციის ლეგიონის ზემდეგს პაატა ასლანიშვილს.

მკვლელის ვინაობა ცნობილია, ის ქართველია, საბჭოთა შინაგანი ჯარების თანამშრომელი. საიდან ამდენი სიძულვილი, ასეთი ზიზღი... რამ უნდა გაიძულოს ქართველი კაცი, რომ სრულიად უმიზეზოდ ჩაიდინო მკვლელობა.

სადაც გასაჭირი იყო, მუდამ იქ იყო პაატა, შვებულებაში მყოფი სამაჩაბლოში ჩამოვიდა — ჩემს მიწა-წყალს უჭირსო, გვერდიდან არ გვშორდებოდა, უსაზღვროდ კეთილი და მოსიყვარულე გული ჰქონდა. ალბათ, არასდროს უფიქრია 26 წლის ვაჟკაცს სიკვდილზე, მაგრამ გასროლილმა ტყვიამ გული ატკინა, მუხლი მოკვეთა, გონება წაართვა და უეცრად დასცა მიწას.

მშვიდობით, ჩვენო უდროოდ დაკარგულო ძმაო და მეგობარო. მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური ქართული მიწა.

**თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს საპატრულო საგუშაგოს სამსახურის ქართული მილიციის ლეგიონი.**

# დაზარალებულთა დასახმარებლად

3 მაისს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შრომა-გასწორების სამმართველოს ერთ-ერთი დაწესებულების პატიმარმა იური გიორგაძემ პირადი ანგარიშიდან 500 მანეთი გადარიცხა მიწისძვრით დაზარალებულთა დასახმარებლად.

●

გარდაბნის რაიონის სოფელ ყარაჯალის სახელით მასწავლებელმა ოსმანოვი ვალი ტალიბ ოღლმა მიწისძვრით დაზარალებულთა ფონდში გადარიცხა 7378 მანეთი.

●

დაბა წყნეთის ახლადარჩეული საკრებულოს ინიციატივით წყნეთის მოსახლეობამ მიწისძვრით დაზარალებულ საჩხერის რაიონის მოსახლეობას გაუგზავნა 20 ათასი მანეთის პროდუქტები, აგრეთვე, სხვა პირველადი მოხმარების საგნები და 10 ლიტრი სისხლი.

ამასთან, დაბა წყნეთის ტერიტორიაზე განლაგებულმა ორგანიზაცია-დაწესებულებებმა სტიქიით დაზარალებულ რაიონებისათვის გაიღეს 4255 მანეთი.

●

საინგილოში მცხოვრები ქართველები სულის სიღრმემდე შეძრა 29 აპრილს საქართველოში მომხდარმა მიწისძვრამ. ბელაქანის რაიონის ერთადერთი ქართული სოფლის — ითითალას საშუალო სკოლის კოლექტივმა სტიქიით დაზარალებულთა დახმარების ფონდში გადარიცხა 540 მანეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# განცხადებები

საბინაო-საამშენებლო კოოპერატივი „ნაკრები“ № 535 იჯარით სახელშეკრულებო ფასებში აქირავებს შენობის პირველ სართულზე 200 კვ. მეტრ. არასაცხოვრებელ ფართობს.
მსურველებმა მიმართონ კოოპერატივის გამგეობას, ვარკეთილი-3, III „ა“ მიკრო-რაიონი, კორპუსი 338, მე-5 სადარბაზო, ბინა 77.

●

წითელი ჯვრის საქველმოქმედო ასოციაცია „აღდგომა“ აცხადებს მიღებას ბიოენერგეტიკის კურსებზე.
ჩვენ დაგეხმარებით გამოიყენოთ საკუთარი შინაგანი რეზერვები და გამოჯანმრთელდეთ წამლის გარეშე, დაეხმაროთ თქვენს ახლობლებს და მეგობრებს.
კურსებზე მიღება შეზღუდულია.
ცნობებისათვის დარეკეთ: 10-დან 18 საათამდე 62-64-50 ან 62-96-13, 17-დან 20 საათამდე 95-23-80.

●

მართლმადიდებლობის განმამტკიცებელი დასის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით, დასის წევრთა პირადობის მოწმობები ამ განცხადების გამოქვეყნების დღიდან ძალადაკარგულია.

●

ქ. თბილისის პრეფექტურასთან არსებული ტერიტორიულ-დარგთაშორისი გაერთიანება მოქალაქეებს, საინიციატივო ჯგუფებს და ყველას ვისაც სურს კოოპერატივის, მცირე საწარმოს ასოციაციის, კონცერნის, კონსორციუმის, სააქციონერო საზოგადოების და სხვა ეკონომიკური-სამეურნეო სტრუქტურების შექმნა სთავაზობს მაღალხარისხოვან მომსახურებას წესდებების, ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების და სხვა საჭირო ეკონომიკურ დოკუმენტაციის შემუშავებაში, რაც გარანტია იქნება თქვენს მიერ დასახული მიზნების წარმატებით რეალიზაციისათვის.
ჩვენი მისამართია: თავისუფლების მოედანი 2, III სართული, ოთახი 252. ტელეფონი ცნობისათვის: 93-36-62.

●

თბილისის შრომითი მოწყობის ცენტრი, თბილისის მეტროპოლიტენის ტექნიკურ სკოლაში ექსკალატორის მემანქანეების მოსამზადებელ კურსებზე იწვევს ქ. თბილისში მუდმივად ჩაწერილ და მცხოვრებ 18-40 წლამდე ასაკის საშუალო განათლების მქონე მოქალაქეებს, კურსის ხანგრძლივობა 4 თვეა. სწავლების პერიოდში სტიპენდიის და საწარმოო პრაქტიკის ანაზღაურება შეადგენს 160 მანეთს.
ტექნიკური სკოლის დამთავრებისა და ექსკალატორის მემანქანის მართვის უფლების მიღების შემდეგ ყოველთვიური საშუალო ხელფასი შეადგენს 320-380 მანეთს. გაიცემა აგრეთვე წელთა ნამსახურების ჯილდო, მეცამეტე ხელფასი და სამდღიანი დამატებითი ფასიანი შვებულება.
მეტროპოლიტენი მუშაკებს უზრუნველყოფს სეზონური ბინებით კიკეთის გამაჯანსაღებელ კომპლექსში და ქ. ბათუმის პანსიონატში. მეტროპოლიტენი აშენებს 48-ბინიან საცხოვრებელ სახლს, ბინები გაიცემა მეტროპოლიტენში არსებული რიგის მიხედვით.
ცნობებისათვის მიმართეთ: ვაგზლის მოედანი № 2, მეორე სართული, ოთახი13. ტ. 34-90-15 ან ნაძალადევის რაიონი, მექანიზაციის ჩიხი № 1, მეტროს სადგური „ელექტროდეპო“. მეტროპოლიტენის ბაზის ტერიტორია, მეტროპოლიტენის ელექტრომექანიკური სამსახური. ტელ. 34-93-23.

●

ამა წლის 21 მაისს დღის 12 საათზე (ბუდაპეშტის ქ. № 1) შედგება, სრულიად საქართველოს პედაგოგთა სამართლებრივი დაცვის კავშირის მთავარი საკოორდინაციო საბჭოს სხდომა. აბაშის, ადიგენის, ახალციხის, ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თიანეთის, თეთრი წყაროს, თერჯოლის, მარტვილის, მარნეულის, მცხეთის, საგარეჯოს, სიღნაღის, საჩხერის, ხარაგაულის, ხობის, ხულოს, ხონის, ცაგერის, ხაშურის, ცხინვალის, წითელწყაროს, ზნაურის, ჩოხატაურის, ყვარლის, ახალქალაქის, მესტიის, დმანისის, გალის, ამბროლაურის, ონის, წალენჯიხის, გურჯაანის, ლამეტის, კასპის, ნინოწმინდის რაიონებისა და ქალაქების — თბილისის, ქუთაისის, ბორჯომის, ბათუმის, ზუგდიდის, თელავის, გორის, სამტრედიის, წყალტუბოს, ტყიბულისა და ჭიათურის საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარეების, მთავარი საკოორდინაციო საბჭოს წევრებისა და წარმომადგენლების დასწრება სავალდებულოა. მივლინების ხარჯები ანაზღაურებული იქნება.

**სრულიად საქართველოს პედაგოგთა სამართლებრივი დაცვის კავშირის მთავარი საკოორდინაციო საბჭოს ხელმძღვანელობა.**

●

1991 წლის 18 მაისს, შაბათს, მოწვეულია საქართველოს რესპუბლიკის სამეურნეო აღრიცხვისა და კონტროლის მუშაკთა ასოციაცია „ჰამარის“ დამფუძნებელი ყრილობა.
ამ საზოგადოებრივი ორგანიზაციის წევრი შეიძლება იყოს ბუღალტრული აღრიცხვის, სტატისტიკის, ინფორმატიკის და კონტროლის ყველა მუშაკი განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა და პარტიულობისა. ასოციაცია უპირველესად დაიცავს მათს პროფესიულ და იურიდიულ უფლებებს.
დელეგატთა რეგისტრაცია იწარმოებს 10 საათიდან. რაიონებიდან ჩამოსულებზე მანდატები და სამუშაო პროგრამა გაიცემა რეგისტრაციის დროს. ყრილობა გაიხსნება 11 საათზე „ცეკავშირის“ შენობაში.
მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი № 7.

**ასოციაცია „ჰამარის“ საინიციატივო ჯგუფი.**

●

ამა წლის 22 მაისს 16 საათზე ზოოვეტინსტიტუტის სააქტო დარბაზში ჩატარდება სრულიად საქართველოს საზოგადოება „ქართლის“ დამფუძნებელი კრება. დაინტერესებულ საზოგადოებას, მხარდამჭერებს ვთხოვთ, მობრძანდნენ შემდეგ მისამართზე: თბილისი, კრწანისი, ზოოვეტერინარული ინსტიტუტი.

**სრულიად საქართველოს საზოგადოება „ქართლის“ საინიციატივო ჯგუფი.**

## დაფასდა ღვაწლი მასწავლებლისა...

27 აპრილს, პროფკავშირების სასახლეში გაიმართა სრულიად საქართველოს პედაგოგთა სამართლებრივი დაცვის კავშირის, მთავარი საკოორდინაციო საბჭოს პრესკონფერენცია, რომელიც ღვაწლმოსილ პედაგოგთა იუბილეს მიეძღვნა.
პრესკონფერენცია გახსნა საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარემ, ბატონმა გოჩა გურგენიძემ.
პრესკონფერენციაში მონაწილეობდნენ სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორი ლეო კვაჭაძე, თბილისის № 77 საშუალო სკოლის დამსახურებული პედაგოგი დავით გონდაური, პედაგოგი ყვარელის რაიონიდან ტატიანა ხაინდრავა, მარტვილიდან — ქეთევან სანიშვილი, ახალციხის რაიონიდან ნინო ციციშვილი და ლამარა ყლენტი.
მომხსენებლებმა ილაპარაკეს ქეთევან სანიშვილის, ლამარა ყლენტის, ნინო კარგარეთელის პედაგოგიურ მოღვაწეობაზე.
სიტყვით გამოვიდნენ ასოციაცია ჯავახეთის გამგეობის წევრი გურამ თედორაძე. ღვაწლმოსილი პედაგოგები ლეო კვაჭაძე და დავით გონდაური.
დასასრულს გაიმართა კონცერტი.

**ხათუნა ბავაშელი,**
**თბილისის მე-2 ექსპერიმენტული საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლე.**


საქციონერო უნივერსალური ბანკი
„იბერბანკი“
აცხადებს ღია ხელმოწერას აქციებზე

აქციის ნომინალური ღირებულებაა 100 მანეთი.
ბანკის აქციების შეძენის უფლება აქვს ყველა იურიდიულ და კერძო პირს, როგორც ნაღდ ისე უნაღდო ანგარიშწორებით.
პრივილეგიურ სახელობით აქციებზე გაიცემა ფიქსირებული დივიდენდი 14 პროცენტის ოდენობით.
ბანკი თავის მხრივ იტოვებს უფლებას, აქციონერებთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, დივიდენდი გასცეს უცხოური ვალუტით საანგარიშწორებო პერიოდისათვის შესაბამისი მოქმედი კურსით.
აქციებზე ხელმოწერა დაიწყო და გაიყიდება 1991 წლის 15 ივნისამდე ნომინალური ღირებულებით (100 მან.), ხოლო შემდგომში საბაზრო ფასნამატით.
ბანკის მისამართი: 380007, თბილისი, ქიქოძის ქ. №8. საკორესპონდენტო ანგარიში 000161611, საქართველოს რესპუბლიკური ბანკი 521006.
ტელ. 98-50-70, ფაქსი 8832 988090 JSU BANK
ბანკის აქციების შეძენა შეიძლება ფოსტით. ამისათვის საჭიროა ბანკის მისამართზე განაცხადის გაგზავნა.

საქციო უნივერსალური ბანკი
„იბერბანკი“
380007, თბილისი, ქიქოძის ქ. №8
ტელ: 98-50-70
ფაქსი 8832 988090 JSU BANK

აქციონერის დასახელება და მისამართი
______________________________
(ორგანიზაციის დასახელება ან სახელი, გვარი, მამის სახ.)
______________________________
ანგარიშსწ. ანგარიში (ორგანიზაციისათვის) __________________
ტელ: __________

განაცხადი

სააქციო უნივერსალური ბანკი „იბერბანკი“-ს აქციის შეძენაზე.
ვყიდულობ
(რაოდენობა) __________
აქციის საერთო თანხით ______ მან.

აქციის სახეობა და რაოდენობა

| უბრალო სახელობითი | პრივილეგიური სახელობითი |
|---|---|
| | |

ფულის გადახდის დამადასტურებელი საბუთი მისამართზე: 380007, თბილისი, ქიქოძის ქ. №8 სააქციო უნივერსალური ბანკი „იბერბანკი“ საკორ. ანგარიში 000161611 საქ. რესპუბლიკური ბანკი 521006



**სავალუტო აუქციონი**

**პირველად საქართველოში**
რესპუბლიკის მთავრობის 1991 წლის 2 მაისის № 346 დადგენილების შესაბამისად ჩატარდება სავალუტო აუქციონი.
აუქციონს ატარებენ საქართველოს საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ბანკი და თბილისის უნივერსალური ბირჟა.
აუქციონზე ვალუტის შესაძენად და გასაყიდად მიწვეულ იქნებიან ორგანიზაცია-დაწესებულებები, საწარმოები, კოოპერატივები და სხვა იურიდიული პირები (კერძო პირები აუქციონში არ მონაწილეობენ).
აუქციონის მოწყობა გათვალისწინებულია მაისის დამლევისათვის.
აუქციონში მონაწილეობის შესახებ და დამატებით ცნობებზე მიმართეთ საუქციონო კომიტეტს მისამართით:
380008 თბილისი, 9 აპრილის ქ. № 5,
საქართველოს საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ბანკი. ტელ. 98-71-09.

რეკლამა

**საუკეთესო პროფესიონალები თქვენს სამსახურში**

ფირმა „თარჯიმანი“ გაძლევთ სამუშაოს შესრულების მაღალი ხარისხისა და სისწრაფის გარანტს!
თუ:
— თქვენ აუცილებლად გჭირდებათ მხატვრული ან სპეციალური ტექსტის. აგრეთვე ხელშეკრულების თარგმნა ქართული ან რუსული ენებიდან ნებისმიერ უცხოურ ენაზე (აღმოსავლური და აზიური ენების ჩათვლით), ან პირიქით;
— თქვენ აუცილებლად გჭირდებათ ვიზის ან საზღვარგარეთ გასამგზავრებლად სხვა დოკუმენტების გაფორმება, პასპორტის და საკონსულოს ბეჭდის ჩათვლით;
— გსურთ გადასცეთ ინფორმაცია ფაქსით ან ტელექსით საზღვარგარეთ;
— ეძებთ თარჯიმანს რათა აწარმოოთ მოლაპარაკებები საზღვარგარეთელ პარტნიორებთან, ან მეგზურობა გაუწიოთ უცხოელ ტურისტებს საქართველოს ისტორიული და ღირსშესანიშნავი ადგილების დათვალიერებისას;
— თქვენ გადაწყვიტეთ სერიოზულად და რაც მთავარია სწრაფად დაეუფლოთ რომელიმე უცხო ენას;
საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაციასთან შექმნილი ფირმა „თარჯიმანი“ გელით თქვენ ყოველდღიურად, გარდა შაბათ-კვირისა მისამართზე თბილისი, გრიბოედოვის ქ. № 19, ოთახები 92, და 102.
ტელეფონი 93-11-30.

რეკლამა

# აღორძინება არგო

გვერდის სპონსორები არიან საქველმოქმედო ასოციაცია „ქართული რაინდები" და ამავე ასოციაციის ფირმა „არგო".


ეროვნული ბიბლიოთეკა


შემოქმედთა საზოგადოებრივი გაერთიანება „ქიმერიონი" სხვადასხვა სახის ღონისძიებებისათვის, დღესასწაულებისათვის, უცხოელი სტუმრების მიღებისათვის, წარმოება-დაწესებულებებს, ორგანიზაციებს, ფირმებსა და კერძო პირებს არენდით სთავაზობს კლუბის შენობას. კლუბში თქვენს განკარგულებაში იქნება საბანკეტო დარბაზი, ბარი, კეგელბანი და სხვა.

ანგარიშსწორება შეიძლება როგორც ნაღდი ანგარიშით, ასევე გადარიცხვით.

ჩვენს კლუბში გატარებული საღამო თქვენ მოგანიჭებთ უდიდეს სიამოვნებას.

**დაწვრილებითი ცნობებისათვის დარეკეთ:**

**51-98-41 96-75-01**



## ნუცუბიძის პლატოზე მაცხოვრებელთა საყურადღებოდ

ფირმა „აქტრისა მარგარიტა"-ს განზრახული აქვს ნუცუბიძის პლატოზე ფასიანი **საკაბელო ტელევიზიის** მოწყობა.

თქვენ მიიღებთ უმაღლესი ხარისხის გამოსახულებით თბილისში გადაცემულ ყველა სახელმწიფო სატელევიზიო პროგრამას. გარდა ამისა მთელი დღე-ღამის განმავლობაში რამდენიმე არხზე იმუშავებს კოსმოსური თანამგზავრებიდან გადმოცემული საზღვარგარეთული პროგრამები: **მხატვრული და საბავშვო ფილმები, სპორტული პროგრამები, კონცერტები, ახალი ამბები.** საღამოს საათებში გადაცემები თარგმნილი იქნება ქართულ ენაზე.

მსურველებმა კოლექტიური განაცხადი, კორპუსების მიხედვით, ა. წ. **1 ივნისამდე**, უნდა წარმოადგინოთ შემდეგ მისამართზე: ნუცუბიძის ქ. № 187[a]. ფირმა „აქტრისა მარგარიტა". განაცხადში მითითებული უნდა იყოს თითოეული აბონენტის გვარი და ბინის ნომერი.

ტელ.: 31-27-60



## ვიწვევთ მოსამზადებლად

1. ჰუმანიტარული, საბუნებისმეტყველო და ტექნიკური სპეციალობის ასპირანტებს და მაძიებლებს საკანდიდატო მინიმუმისათვის ფილოსოფიაში 2. მაპროფილებელ საგანში — ჰუმანიტარული განხრით უმაღლესდამთავრებულებს, აგრეთვე სტუდენტებს, რომლებსაც განზრახული აქვთ ფილოსოფიაში, ფსიქოლოგიაში, პედაგოგიკაში, სოციალოგიაში, ეთიკაში, ესთეტიკაში, პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიაში ან რელიგიის ისტორიასა და თეორიაში დასპეციალება, ასპირანტურაში შესვლა ან დაუსწრებლად საკანდიდატო მინიმუმის ჩაბარება. საგნის შესწავლის და სავალდებულო სამეცნიერო-საკვალიფიკაციო მასალის მომზადების პროცესში მსმენელები შეისწავლიან მეცნიერული მუშაობის საფუძვლებს (თემის არჩევა, მეცნიერული კვლევის ეტაპები, ინფორმაციის მაქსიმუმის მოპოვების მეთოდები, დაგროვებული ინფორმაციის წერილობითი გაფორმების ვარიანტები, ზეპირი და წერითი კამათის ხელოვნება და სხვ.) კონსულტაციები ინდივიდუალურია.

**მისამართი: თბილისი, გამსახურდიას ქ№19, მე-8 სად. ბ.155**
**მიღება ოთხშაბათს და პარასკევს 18-დან 20 საათამდე.**



## მათთვის, ვინც სოფლის მეურნეობაშია დაკავებული!

მებაღეობისათვის და სანერგე მეურნეობისათვის გთავაზობთ ტორფსა და ორგანულ ქოთნებს.

ზემოხსენებული „ფერმერის კომპლექტი" უზრუნველყოფს ბოსტნეულის, ხილის, ყვავილებისა და სხვა მცენარეების ზრდას ბუნებრივ პირობებში.

გაყიდვა წარმოებს როგორც გადარიცხვით, ასევე ნაღდ ანგარიშზე.

**მისამართი:** ავჭალის გზატკეცილი №75-ს და №77-ს შორის მდგარი წითელი ჯიხური წარწერით: „სავანე". მოგვმართეთ ყოველდღე დასვენების დღეების ჩათვლით 9 სთ-დან 20 სთ-მდე.



## დარგთაშორისი სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქინფორმსამართალი" და მცირე საწარმო „ორლი" გთავაზობთ

**გაფართოებული კონფიგურაციის IBM თავსებად PC/AT პერსონალურ კომპიუტერებს.**

**ანგარიშსწორება წარმოებს გადარიცხვით.**

**ფასი არაუმეტეს 45 ათასი მანეთისა.**

**ორგანიზაციებისთვის, რომლებიც შეიძენენ 10-ზე მეტ კომპიუტერს, ცალის ფასი იქნება არაუმეტეს 42 ათასისა.**

**მოწოდება ხელშეკრულების დადების დღესვე.**

**ჩვენი მისამართია: ქ. თბილისი, ბუდაპეშტის 1.**

**ტელ: 10.00 — 17.00 სთ 37-58-25 36-66-47**
**19.00 — 22.00 სთ. 93-57-77, 62-52-12.**

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი"



189-ე საშუალო სკოლის დირექცია იუწყება, რომ 1991-92 სასწავლო წლისათვის სკოლა გადადის დიფერენცირებული სწავლების 3 პროფილზე: ჰუმანიტარულ, ტექნიკურ და საბუნებისმეტყველო.

მისაღები გამოცდები ჩატარდება ა.წ. 1-დან 20 ივნისამდე.

მსურველებს გთხოვთ წარმოადგინოთ საბუთები.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ სკოლის დირექციას.

ტელ: 67-74-33
67-73-55



## ორგანიზაციებს, კოოპერატივებს, კერძო პირებს!

თუ გაქვთ სურვილი, რომ თქვენი შენობა-ნაგებობის გარე იერი, შიდა ინტერიერი მხატვრულად მაღალ დონეზე იყოს გაფორმებული, მიმართეთ ასოციაცია „მზისა"-ს.

დაინტერესებულ პირებს, რომელთაც აქვთ საკუთარი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია და სურთ მისი რეალიზაცია ან ამ პროდუქციის ბაზაზე მცირე საწარმოს შექმნა, მიაკითხონ ასოციაცია „მზისა"-ს.



## იყიდება

აგარაკი ანანურში (ორი სართული, მანსარდით). ნაკვეთით, ტყის პირას.
ცნობებისათვის დარეკეთ
31-80-19.



იყიდება ხიმინდის ახალი ახალი სამრიგიანი კომბაინი „ხერსონეცი 9".

მისამართი: ქ. ქუთაისი, გვანცელაძის 69.

ტელ. 6-59-25



სალიტერატურო ვერიოლი (logo)

Общественно-политическая газета

ტელეფონები: მიხალები — 93-97-31; პასუხისმგებელი მდივანი — 93-31-56; წერილების განყოფილება — 99-00-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

რედაქტორი
მერაბ ბალარჯიშვილი

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბა თბილისი, მ. კოსტავას 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში ხოშარაულის 29.

1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15.

НАШ ИНДЕКС 66400

რედაქციის მისამართია
ქ. თბილისი — 380096
მ. კოსტავას ქ. № 14.